ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## წავა თუ არა მემარჯვენეებიდან საგანელიძე

— გვ. 2 —



პარასკევი, 4 ნოემბერი, 2011 | №262 (5642) | ფასი: 30 თეთრი

# გვ.2 ნათელაშვილი ნაყოფიას სასახლის დანგრევით ემუქრება



## ხალხი ივანიშვილის დასაცავად ერთიანდება

გვ. 4





## „დამთავრდეს „ცენტრ-პოინტის“ თაღლითობა!“

გვ. 4

ჩვენ ვართ 21-ე საუკუნის ყველაზე მასშტაბური აფიორის მსხვერპლნი

## მეუფე სერაფიმე: „ომის დროს მე დავლოცე დაჭრილი მინდია გულუა, ახლაც იმავე გულითა და ნდობით ვლოცავ...“

გვ. 5



## სოსო ცისკარიშვილი: პუტინის ოცნებების შემსრულებელი ხელისუფლებაა და არა ივანიშვილი

გვ. 3





გვ. 2

## ედუარდ კოკოითი: საზღვარზე საერთაშორისო დამკვირვებლებს არ დავუშვებთ

## რუსეთი საქართველოს თანხმობით მსო-ს წევრი გახდება

გვ. 7




## აქცია!

## „ახალი თაობა“ + მარკესი

## 5 ლარი





ISSN 1987-9385

**2** რა დაუწუნა სალომე ზურაბიშვილმა ივანიშვილს

**3** შაშკინმა დეპუტატები კიდევ ერთხელ გადააგდო

**4** მინდია გულუამ საკუთარი პარტიის ხელმძღვანელად თავისი და აარჩევინა

**6** ცემით კიდევ ერთი პატიმარი მოკლეს

# რა დაუწუნა სალომე ზურაბიშვილმა ივანიშვილს

შალვა ჯოხაძე

**საქართველოდან შორს მყოფი სალომე ზურაბიშვილი ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს დიდი ინტერესით ადევნებს თვალს. მის მიერ დაარსებულმა პარტია „საქართველოს გზამ“ ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკური გეგმების გამომჟღავნებისთანავე ამ ადამიანის მიმართ სიმპათიები გამოამჟღავნა. სალომე ზურაბიშვილიც ბიძინა ივანიშვილის გულშემატკივრად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რასაც „ფეისბუქის“ მის გვერდზე გაკეთებული ჩანაწერიც მოწმობს.**

**სალომე ზურაბიშვილი:**

— ძალიან მომეწონა ბიძინა ივანიშვილის პასუხები, პირველ რიგში, ყველაზე მტკივნეულ საკითხებზე: ომზე — რომ ჩვენი თავის წინაშე სიმართლე უნდა ვაღიაროთ და ტყუილიდან ამოვიდეთ, რაც ესოდენ უჭირს ძალიან ბევრს, თუნდაც ზოგ ჩემს ახლობელს! ან კიდევ — უმცირესობებზე. ეს არის ის ქართული ჰუმანიზმი, რითაც საქართველო მოდის ოდითგან და რითაც ჩვენ ვიყავით ძლიერნი და წარატებულნი! ან კიდევ — ნატოზე თუ სავაჭრო ორგანიზაციაზე და ცხადია — სასამართლო და მთავარი ლოზუნგი „არჩევნებით მოვალთ!“, რისაც ყველაზე უფრო ეშინია ხელისუფლებას. მას აწყობს, რომ ორი საფრთხობელა გამოაჩინოს: რუსეთი და გადატრიალება და რომ ვერ ახერხებს ამას, მაშინ გიჟდება, როგორც გიჟდებოდნენ ჟურნალისტები და აჩენდნენ თავიანტ რეალურ სახეს, ანუ ფოსტალიონების...

მაგრამ მე არ მომწონს კომენტარებში განსხვავებული აზრის არარსებობა... მე, მაგალითად, გამიჩნდა სურვილი მეტი პროფესიონალიზმის, არა მხოლოდ ჟურნალისტებისგან, პრესკონფერენციის მომზადებაში... არსებობს უამრავი მაგალითი, როგორ უნდა დაალაგო, ორგანიზება გაუკეთო დარბაზს და არ დაუშვა ქართული ბაზარი, რათა ეს დრო უფრო ეფექტურად ყოფილიყო გამოყენებული, ვიდრე ჟურნალისტების დარიგება-დაწყნარებაში; ეს არის ჩემი მცირე კრიტიკა, რომელიც, იმედი მაქვს, გათვალისწინებული იქნება შემდეგ პრესკონფერენციებში.

ამ მცირედი კრიტიკის მიუხედავად, სალომე ზურაბიშვილი და მისი პარტია აშკარად მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილს. „საქართველოს გზა“ ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისათვის მოქალაქეობის დაბრუნების პეტიციასაც უერთდება.

„საქართველოს გზა“ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც მასშია ნათქვამი, პოლიტიკაში წასვლის შესახებ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეცვალა.

„მას შემდეგ, რაც საარჩევნო ცვლილებებზე მომუშავე პარტიათა ერთობამ ხელისუფლებასთან შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლო და ერთობა დაიშალა, საზოგადოებაში ნიჰილისტური დამოკიდებულება გაიზარდა. ქვეყანაში მოისპო განსხვავებული აზრი. ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადმა საზოგადოებაში იმედი გააჩინა და პოლიტიკური პარტიებიც ჩიხური მდგომარეობიდან გამოიყვანა. გაჩნდა ხელისუფლების ალტერნატივა, ჩამოყალიბება დაიწყო მნიშვნელოვანმა, გავლენიანმა, რეიტინგულმა პოლიტიკურმა ცენტრმა. ივანიშვილის განცხადებამ პოლიტიკაში წასვლის შესახებ ნათლად დაანახა ხელისუფლებას, რეალური კონკურენტი და ამან განაპირობა, მის მიმართ განხორციელებული უპრეცედენტო პოლიტიკური დევნა. ეს არის მისი პოლიტიკური არენიდან დაუყოვნებლივ გაყვანის მცდელობა. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოში დემოკრატიის არარსებობაზე“, — ნათქვამია განცხადებაში.


სალომე ზურაბიშვილი

„საქართველოს გზა“ მიიჩნევს, რომ დღეს ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკის მთავარი სამიზნე საქართველოში ყველაზე გავლენიანი ფიგურა ბიძინა ივანიშვილია.

„სააკაშვილის რეჟიმს პრეტენზიაც დაეკარგა, ჰქონდეს დემოკრატი ხელისუფლების იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე. მთავარი მოტივაცია, რაც დღეს სააკაშვილს ამოძრავებს, არის პოლიტიკური ცვლილებების შიში, რაც ტოტალიტარული რეჟიმის მახასიათებელია ივანიშვილის და მისი მეუღლისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა. სხვადასხვა ბერკეტით ზეწოლა ქართუ ჯგუფზე (როსტომ მეფის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოს შეჩერება, ყაჩაღური თავდასხმა ქართუ ბანკის საინკასაციო მანქანაზე, 6 თანამშრომლის დაკავება და თანხის გატაცება), ივანიშვილის შვილის მეგობრის, ლევან მდინარაძის დაკავება, ყოველდღიური პროპაგანდა, რაც ნაციონალური ტელევიზიებიდან იღვრება“, — აღნიშნულია განცხადებაში.

„საქართველოს გზა“ საზოგადოებას მოუწოდებს, რომ ხელისუფლების ჩვეული მეთოდი დაგმობილ უნდა იქნეს და რამდენიმე მოთხოვნას აქვეყნებს.

„ხელისუფლების ჩვეულ მეთოდს, რომელიც იქნება მიმართული კონკურენტთა უფლებების შესაზღუდად, უნდა მოჰყვეს სწრაფი რეაქცია და დაგმობილ იქნეს საზოგადოების მიერ. ჩვენ ვუერთდებით ივანიშვილის და მისი მეუღლის მოქალაქეობის დაბრუნების მოთხოვნის პეტიციას, რომელიც გადაგზავნილ უნდა იქნეს საერთაშორისო ორგანიზაციებში. მოვითხოვთ, საქართველოში აკრედიტებულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და საელჩოებმა ამ საკითხთან მიმართებაში დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია. როგორც ხელისუფლებას სჩვევია, დღემდე გაურკვევლობაა არჩევნების თარიღთან დაკავშირებით. ეს ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს, ვინაიდან კონკურენტებს უწევთ არჩევნებისთვის მზადება არათანაბარ პირობებში. დღეს უკვე ძნელია საარჩევნო კანონმდებლობაში იმ ცვლილებების შეცვლა, რაც შეტანილ იქნა ხელისუფლების მიერ თავისი მიზნების განსახორციელებლად, აქედან გამომდინარე, ჩვენი მოთხოვნა შემოიფარგლება ბიომეტრიული საარჩევნო ბარათის შემოტანით, რაც რეალურ საშუალებას მოგვცემს ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები. ამ აზრის მოწინააღმდეგეს ეშინია ხალხის არჩევნის. ეს სამი საკითხი: არჩვენებში მონაწილეობის უფლების დაცვა ანუ სამართლიანობა, არჩევნების თარიღის და პირობების დროზე გამოცხადება ანუ თანასწორუფლებიანობა; ბიომეტრიული ტექნოლოგიით საარჩევნო სიების დადგენა და არჩევნების ჩატარება — შემოტანა ანუ გამჭვირვალობა ეს არის ის ძირითადი პრინციპები, რაზედაც დგას და იდგება „საქართველოს გზა“, — აცხადებენ პარტიაში.

# ნათელაშვილი ნაყოფიას სასახლის დანგრევით ემუქრება

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტია სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკისა და მისი მაღალჩინოსნების მიერ დაგროვილი მილიონიანი ქონების წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გამოდის და პირობას დებს, რომ მოქმედი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სააკაშვილის უკანონოდ გამდიდრებულ მაღალჩინოსნებს ეს ქონება ჩამოერთმევა და ხალხს გადაეცემა.**

გუშინ საქართველოს პირველი ლეიბორისტი პარტიის ლიდერებთან და აქტივისტებთან ერთად თბილისის შემოსასვლელში, სიხარულის ქუჩაზე მდებარე დეპუტატ ნაყოფიას სასახლესთან მივიდა და აქცია-ბრიფინგი გამართა.

შალვა ნათელაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ სააკაშვილის კორუმპირებული მაღალჩინოსნები უკანონოდ, ხალხის ძარცვის ხარჯზე მდიდრდებიან.

— ამ სრა-სასახლის დანახვაზე გენიალური ვაჟა-ფშაველას სიტყვები მახსენდება: შენი სახლობაც ქეიფობს, ჩემი ბალღებიც ტირიან. აი, რატომ ტირის საქართველო. აი, ასეთი ღორების ხელშია და იმიტომ. ეს სასახლე სააკაშვილის მოლარის, ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატის, ოქროს საბადოს მფლობელ ნაყოფიას კუთვნილებაა. მაგრამ სინამდვილეში ის თქვენი შრომითა და თქვენი ქონებით ააშენა და მიითვისა. ეს ქონება ნაყოფიასა და მისთანებს აუცილებლად ჩამოერთმევა და ხალხს გადაეცემა. გაბატონებული კლასი არ დათმობს არც ქონებას და არც ძალაუფლებას, თუ არ წაართვი. ჩვენ ამათ ეს ქონება უნდა წავართვათ. ვისაც გინდათ, წართმეული ქონება დაიბრუნოთ სამომავლოდ მაინც, ხვალ და ზეგ, მოდით 7 ნოემბერს 3 საათზე პარლამენტის წინ მიტინგზე, რომ ამისთანა ბანდიტებს ეშინოდეთ და მიწა ერყეოდეთ ფეხქვეშ. დღეს ერთადერთი, რასაც შევძლებთ და გავაკეთებთ, იქნება სახელის შეცვლა ამ ქუჩისთვის. ამ ქუჩას ჰქვია სიხარულის ქუჩა და ეს სიხარული აგებულია ჩვენი ხალხის ტირილზე, ცრემლებსა და ვაებაზე. ამიტომ მას დავარქმევთ ღორების ქუჩას, — განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა და სააკაშვილის ხელისუფლების სახეს — დეპუტატ ნაყოფიას კართან აბრა დაურჭო. შალვა ნათელაშვილმა საკუთარი ხელით დაარჭო აბრა წარწერით „ღორების ქუჩა“ და იქვე დაამატა, რომ უახლოეს პერიოდში საზოგადოებას წარუდგენს პირველი ლედის სანდრა რულოვსისა და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის სასახლეებს.


შალვა ნათელაშვილი

— აი, ასე დაიჩეჩქვება გაბატონებული კლასი საქართველოში ხალხის მიერ, იმიტომ რომ, რაც წაიღეს, ეს მათი კუთვნილება არ არის, — განაცხადა ნათელაშვილმა ჩაქუჩით აბრის ჩარჭობის დროს. მისი თქმით, სიხარულის ქუჩაზე მდებარე მაღალჩინოსნების ქონებას სამთავრობო დაცვა იცავს. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ სააკაშვილის მაღალჩინოსნებსა და დეპუტატებს საკუთარი ხალხისგან დაცვა სჭირდებათ. ამის მიზეზი კი, შალვა ნათელაშვილის თქმით, ის არის, რომ ნაცელიტამ არაამი ლუკმა მოიპოვა.

— 7 ნოემბერს იქნება პირველი განაცხადი ქართველი ხალხისა იმის თაობაზე, რომ მათ ეკუთვნით ის ქონება, რომელიც მიითვისეს ნაყოფიებმა, მერაბიშვილებმა, რულოვსებმა, სააკაშვილებმა და სხვებმა. ჩვენი კონცეფციაა, რომ მდიდართა კლასს უნდა ჩამოერთვას ძალაუფლება და ქონება და დღეს ამის პრეზენტაციას ვაკეთებთ ნაყოფიას კოლიზეუმის სტილზე აშენებულ სასახლესთან. ნახეთ, წერა-კითხვის უცოდინარი არსება, რომლის დამსახურება არის ის, რომ შეუძლია ბანდიტობა, ყაჩაღობა და შეუძლია ბანდიტი პრეზიდენტის დაფინანსება, იშენებს ამ კოლიზეუმის მსგავს სასახლეს მშიერ ქვეყანაში, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა. მისი თქმით, ნაყოფიასთვის, რა თქმა უნდა, სიხარულის მომტანია ამხელა ქონება, ქართველი ხალხისთვის კი ეს ტრაგედიაა.

# ედუარდ კოკოითი: საზღვარზე საერთაშორისო დამკვირვებლებს არ დავუშვებთ


ედუარდ კოკოითი

ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი აცხადებს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი საზღვრებზე საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვებას არ აპირებს. ეს განცხადება კოკოითიმ რუსულ მედიასთან საუბარში რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხის კომენტირებისას გააკეთა, რომლის ერთ-ერთი პირობა საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე ტვირთების გადაადგილების საერთაშორისო აუდიტია.

— ეს პოზიცია ჩვენ არაერთგზის გაგვიჟღერებია და მის შეცვლას არ ვაპირებთ, — განაცხადა ოს სეპარატისტთა ლიდერმა.

აღსანიშნავია, ამ საკითხთან დაკავშირებით, მსგავსი პოზიცია უკვე გამოხატეს აფხაზმა სეპარატისტებმა.

ათბ–ნიუსი

# წავა თუ არა მემარჯვენეებიდან საგანელიძე


დავით საგანელიძე

„ახალი მემარჯვნეების“ ერთ-ერთი ლიდერის დავით საგანელიძის განცხადებით, პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობიდან იმიტომ გადადგა, რომ პარტიის ზოგიერთ გადაწყვეტილებებზე განსახვავებული აზრი აქვს და თანამდებობიდან გამომდინარე ამ გადაწყვეტილებებზე ავტომატურად პასუხისმგებლობის აღება არ სურდა.

„მედიანიუსის“ კითხვაზე, მასა და პარტიას შორის უთანხმოება საარჩევნო კოდექსს და ივანიშვილთან ურთიერთობას ხომ არ ეხება?,–საგანელიძემ კონკრეტული პასუხის გაცემა არ ისურვა. მისი თქმით, ეს შიდა სამზარეულოა და რაიმეს დაკონკრეტება არ სურს, თუმცა დასძინა, რომ აზრთა სხვადასხვაობა პარტიასა და მას შორის, ჯერ კიდევ ზაფხულში გაჩნდა, თანმდებობიდან კი ერთი თვის წინ გადადგა.

— თანამდებობა დავტოვე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტიაც დავტოვე. დღემდე ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, უბრალოდ, რაღაც საკითხებზე განსხვავებული მოსაზრება გამაჩნია. არ შეიძლება გენერალურ მდივანსა და კომიტეტს განსხვავებული პოზიციები ჰქონდეთ. მე ვერ დავამტკიცებდი იმ გადაწყვეტილებას, რაც ჩემთვის მისაღები არ იყო. ამ თანამდებობიდან გამომდინარე ავტომატურად მიწევდა პასუხისმგებლობის აღება ჩემთვის მიუღებელ გადაწყვეტილებებზე, ამიტომაც ეს პოსტი დავტოვე, — განუცხადა „მედიანიუსს“ დავით საგანელიძემ.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 2–94-06-91
**ვებ-გვერდი** www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

**რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.**

# სოსო ცისკარიშვილი: პუტინის ოცნებების შემსრულებელი ხელისუფლებაა და არა ივანიშვილი

**ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიუღებლად მიიჩნევს ხელისუფლების ბრალდებებს ოპონენტების მიმართ. მისი განმარტებით, როცა ხელისუფლება ოპონენტს ვერაფერს უძებნის, მაშინ იწყებს რუსული კვალის ძებნას. ექსპერტი განმარტავს, რომ ეს ხელისუფლება თავად არის რუსული ინტერესების გამტარებელი.**

თეა მარხვაიძე

ვინ არის პუტინის ოცნებების შემსრულებელი, რატომ დადის ოპოზიციასთან აშშ-ის ელჩი, რას უნდა ველოდოთ ნაციონალებისგან, ამის შესახებ **სოსო ცისკარიშვილი** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– რატომ გვაშინებს ხელისუფლება იმით, რომ ივანიშვილი კრემლის უკანასკნელი იმედია? თუ ეს ასეა, მაშინ ამაზე მანამდე რატომ არ საუბრობდნენ, სანამ ის პოლიტიკაში მოსვლას გადაწყვეტდა?***



სოსო ცისკარიშვილი

– როცა სხვა ნაციონალებს მათთვის არასასურველ პიროვნებასთან მოსადავებელი არაფერი აქვთ, იწყებენ რუსული კვალის ძიებას. აქ საძიებელი ბევრი არაფერია. არავინ უარყოფს, რომ ივანიშვილი წლების განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა. ისიც ცნობილია, რომ სწორედ ამ ქვეყანაში წარმოიშვა მისი ფინანსური კეთილდღეობა. ნათქვამია: ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო. მოდით, ვნახოთ, ვინ საუბრობს ივანიშვილის რუსულ კვალზე. ესენი არიან იმ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში პუტინის ოცნებებს ყველაზე უკეთ ახორციელებენ. რაც დრო გადის, ეს უფრო მკაფიოდ ჩანს. მათი წყალობით ჩვენი ისტორია ახალ-ახალი სავალალო ფურცლებით ივსება როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკაში. მათი ნამოქმედარი ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებზეც აისახება. ამ დროს თურმე საფრთხეს ის ადამიანი წარმოადგენს, რომელმაც თავის დროზე რუსეთში იშოვა ფული.

***– როცა არჩევნები ახლოვდება ან რომელიმე ძლიერი ფიგურა ჩნდება ოპოზიციაში, ხელისუფლება ყოველთვის რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზე საუბრობს. ხალხმა ძალიან კარგად იცის, რომ რუსეთი ყველაფერზე წავა მაგრამ ამ საფრთხობელის აღარავის ეშინია.***

– დღევანდელი არაპოპულარული ხელისუფლება სხვას ვერაფერს პოულობს საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. ისინი მხოლოდ რუსეთის ფაქტორით ცდილობენ ხალხის დაშინებას. ისინი ცდილობენ, რუსეთი წარმოადგინონ არსებული ხელისუფლების მტრად. ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, იწვევენ სიმპათიებს რუსეთის მიმართ.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ რუსეთს წარმოაჩენენ ძალად, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლების შეცვლა შეუძლია. სამწუხაროდ, რუსეთი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის თანდათან მისაღები ხდება, რომელიც ხელისუფლების შეცვლის სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. პატიოსანი არჩევნების ჩატარების იმედი ხალხს უკვე აღარ აქვს. ასე რომ, რუსეთის ფაქტორით მოსახლეობის შეშინება აღარ გამოვა. საბედნიეროდ, მოსახლეობას სახელმწიფოებრივი მიდგომა ბევრად მაღალი აქვს, ვიდრე ქანცგამოცლილ ხელისუფლებას. მას საკუთარი სკამის შენარჩუნების გარდა სხვა პრიორიტეტი აღარ გააჩნია.

***– რამდენად შეძლებს ხელისუფლება სკამის შენარჩუნებას? ვიღაცები ვარაუდობენ, რომ საქმე შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებამდეც კი მივიდეს.***

– ნაციონალურ მოძრაობას ოპონენტებთან პოლიტიკური ტექნოლოგიებით საუბრის გამოცდილება არა აქვს. ისინი მათთან ურთიერთობისას ცივილიზებულ ფორმებს არ ანიჭებენ უპირატესობას. მათი ერთადერთი ინსტრუმენტი ძალადობაა. მათ ხელეწიფებათ კიდეც ოპონენტების წინააღმდეგ ძალის გამოყენება.

***– გამოდის, რომ ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი?***

– გამორიცხული არაფერი არ არის, რადგანაც შიშს დიდი თვალები აქვს. მშიშარა ადამიანი ყველაზე ნაკლებად პროგნოზირებადია. კაცმა არ იცის, რა მეთოდს გამოიყენებენ სკამის შესანარჩუნებლად. როგორც წესი, ჩვენი ხელისუფლება თავს მშვიდად მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა უიარაღო ხალხს სადისტური მეთოდებით უსწორდება. ეს ფორმატი მათ არსენალში ისევ არის.

***– მოდით, ისევ ივანიშვილის რუსულ კვალს დავუბრუნდეთ. მის პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით ოფიციალური მოსკოვი კომენტარებს არ აკეთებს.***

– რუსეთიდან ივანიშვილის მისამართით არანაირი პოზიტიური სიგნალი არ ისმის. ისმის ნეგატივი იმ მედია-საშუალებების მხრიდან, რომლებიც დიდი ხანია ხელისუფლების აპოლოგეტებად მოიაზრებიან. ოფიციალური რუსეთი კი დუმს და, ჩემი აზრით, სწორსაც აკეთებს. არ არის აუცილებელი, ისეთი განცხადებები გააკეთონ, რომლებიც არც რუსეთისთვის და არც ივანიშვილის სასარგებლო არ იქნება.

***– ამერიკის პოზიციაც არ არის ცნობილი. თუმცა, არის მოსაზრება, რომ ვაშინგტონი მას უჭერს მხარს. ამაზე მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც ჯონ ბასი ივანიშვილთან მივიდა რეზიდენციაში.***

– მე ერთი რამე დავინახე ბასის მოქმედებიდან. მისი და მისი წინამორბედის, ბატონი ტეფტის საქმიანობა ნამდვილად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუნდაც იმიტომ, რომ ბატონი ბასი აღარ მოიაზრება ნაციონალური მოძრაობის აქტივისტად. უკანასკნელ პერიოდში ის რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას ეწვია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მას ობიექტური ინფორმაციის დეფიციტი აქვს. ის არ რჩება მხოლოდ ოფიციალური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის იმედად. როგორც არ უნდა ეცადოს ხელისუფლება, ბასი ვერ დაიჯერებს, რომ „ქართუ ბანკი“ ფულს ათეთრებდა, როცა საქართველოს ბანკიდან გამოიტანეს ფული. თუ ასე იყო, მაშინ ჯერ საქართველოს ბანკის ხელმძღვანელები უნდა დასჯილიყვნენ. ლოგიკასთან პრობლემები ბატონ ბასს არ გააჩნია. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის რომელიმე ოპოზიციური ძალის ლობისტია. საქართველოში დაწყებული პროცესების მიმართ ინტერესი დიდია და ბასიც პირადად ისმენს ინფორმაციას. გასაკვირი იქ იქნებოდა, ის საელჩოდან არ გამოსულიყო.

# შაშკინმა დეპუტატები კიდევ ერთხელ გადააგდო

## „ერთობა სამართლიანობისთვის“ განათლების მინისტრს უკანასკნელად აფრთხილებს

თეა მარხვაიძე

**საპარლამენტო ფრაქციამ „ერთობა სამართლიანობისთვის“ განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი პარლამენტში ჯერ კიდევ ოქტომბერში დაიბარა. ოპოზიციონერებს მინისტრთან ბევრი კითხვა გაუჩნდათ და მოინდომეს, პირადად მათგან მოესმინათ ამ კითხვებზე პასუხი.**



ჯონდი ბაღათურია

მინისტრმა მაშინ პარლამენტში მისვლა არ ინება. ამან ოპოზიცია განარისხა. გული მათ იმით დაიმშვიდეს, მეორედ დაძახილზე მოვაო. მისთვის ცოტა ადრე უნდა ეხმოთ, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ეს ამბავი გადადეს.

წესით და პირობით, დიმიტრი შაშკინი პარლამენტში გუშინ უნდა მისულიყო. ფრაქცია მის დასახვედრად სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყო. თუმცა, როგორც გაირკვა, სულ ტყუილად მოემზადნენ. შაშკინმა ისინი გუშინ კიდევ ერთხელ გადააგდო.

მინისტრის უპასუხისმგებლობამ დეპუტატები გააბრაზა. განსაკუთრებით ჯონდი ბაღათურია გაბრაზდა. ეს შეხვედრა ხომ პოლიტიკური პარტია „ქართული დასის" ინიციატივით გაიმართა. ჯონდი ბაღათურია კი ამ პარტიის თავკაცი გახლავთ.

შეხვედრაზე საჯარო სკოლების ოპტიმიზაცია, მასწავლებელთა შრომითი უფლებების დაცვას სამინისტროს მიერ სასკოლო სახელმძღვანელოებზე დადგენილი ფასები და სხვა პრობლემები განიხილეს.

მინისტრისგან განსხვავებით, შეხვედრა პედაგოგებმა და განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დააფასეს. დეპუტატების მსგავსად, შაშკინთან მათაც ბევრი კითხვა ჰქონდათ.

დეპუტატ გია ცაგარეიშვილის განცხადებით, განათლების სამინისტროში უამრავი პრობლემა არსებობს და მინისტრს მათზე აუცილებლად უნდა გაეცა პასუხები.

– განათლების სისტემაში არსებული უამრავი უმწვავესი პრობლემის მიუხედავად, მინისტრმა კვლავ სირაქლემას პოზიცია დაიკავა და პარლამენტში მისვლას თავი ამჯერადაც აარიდა, – განაცხადა აღშფოთებულმა ცაგარეიშვილმა.

როგორც ცაგარეიშვილი ამბობს, განათლების სამინისტროში მათ უთხრეს, რომ შაშკინი აუცილებლად მივიდოდა პარლამენტში.



გია ცაგარეიშვილი

– ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ აპარატი მინისტრის აპარატს 2 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში უკავშირდებოდა. იქ გვპასუხობდნენ, რომ სხდომაზე მინისტრი ან მისი რომელიმე მოადგილე მივიდოდნენ. დღეს 11.30 საათზე კი გაირკვა, რომ ისინი პარლამენტში მისვლას ვერ შეძლებდნენ, – განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.

ის მინისტრის ქმედებით აღშფოთებულია, ამასთან, როგორც თავად ამბობს, შაშკინისგან არაფერი უკვირს.

– შაშკინის ამგვარი ქმედება სამარცხვინოა, მაგრამ გასაკვირი არ არის იმ ადამიანისაგან, რომელმაც თავის დროზე უდანაშაულო ადამიანის, სანდრო გირგვლიანის მკვლელები უკანა ოთახიდან გააპარა და ამით იმავე დანაშაულის თანამონაწილე გახდა, – განაცხადა ფრაქციის თავკაცმა.

ჯონდი ბაღათურია პირობას დებს, რომ ამ საქმეს ასე არ დატოვებს და მინისტრს პარლამენტში აუცილებლად მიიყვანს.

ბაღათურია მინისტრის გუშინდელ მიუსვლელობას შაშკინის შიშით ხსნის. დეპუტატის განცხადებით, მინისტრმა იცის, რომ ფრაქცია მას მწვავე კითხვებს დაუსვამს.

– მას ამ მწვავე კითხვებზე პასუხი არა აქვს და ამიტომაც აარიდა თავი პარლამენტში მოსვლას, – განმარტა ბაღათურიამ.

გია ცაგარეიშვილმა კი, აღშფოთების მიუხედავად, მინისტრს რჩევა-დარიგებები არ დაამადლა, ამასთან, მისი წარსულიც გაიხსენა და დღევანდელი პოზიცია დაუგმო.

– ესაა კაცი, რომელიც ერთ-ერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას ედგა სათავეში. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის კოჰორტაში მოხვდა, ზნეც იცვალა და ფერიც.... თქვენ მხოლოდ დემაგოგიით ხართ დაკავებული. ბრიყვული პროექტების განხორციელებას სჯობს, პარლამენტში მობრძანდეთ და დეპუტატების შეკითხვებს გასცეთ პასუხი. თუმცა, ამ უმსგავსობას ძალიან მალე ბოლო მოეღება, – აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ბაღათურიას მსგავსად, მანაც პირობა დადო, რომ ფრაქცია განათლების სისტემაში არსებულ მტკივნეულ საკითხებს მაინც დასვამს. ცაგარეიშვილი ამბობს, რომ ეს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას მოხდება.

იმ დროს, როცა ოპოზიცია მინისტრ შაშკინს ქოქოლას აყრიდა, ის მოსწავლეებსა და მშობლებს მთავრობის ათპუნქტიან გეგმას აცნობდა. ეს ის გეგმაა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ერს ნიკა გილაურმა დიდი ზარზეიმი გააცნო.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან შეხვედრისას შაშკინმა განსაკუთრებული ყურადღება სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პუნქტზე, კერძოდ, განათლების სისტემაში მიმდინარე მოვლენებზე გაამახვილა.

მისივე განცხადებით, მთავრობის ამოცანა საქართველოს მოსახლეობისთვის მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების შესაბამისი განათლების შეთავაზებაა.

შაშკინმა მოსწავლეებს ის სიახლეები გააცნო, რაც სწავლისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით სამინისტრომ განახორციელა და სამომავლოდ არის დაგეგმილი. დიმიტრი შაშკინის განცხადებით, იგეგმება რამდენიმე სიახლე, რომელიც მოსწავლეების წახალისებას ისახავს მიზნად. კერძოდ, ყველა მეათეკლასელი, რომელიც ათებზე დაამთავრებს საბაზო საფეხურს და საატესტატო გამოცდებზე მაღალ შეფასებას დაიმსახურებს, კომპიუტერებით დასაჩუქრდება, ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები ენის საზაფხულო ბანაკებში გაემგზავრებიან, წარმატებულ კურსდამთავრებულებს მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შესაძლებლობა ექნებათ.

მინისტრის თქმით, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს: 2011 წელს დაინერგა და მომავალშიც გაგრძელდება მეთორმეტეკლასელთა გამოსაშვები ე.წ. ჩAთ-ის ტიპის გამოცდები; დაიწყო მასწავლებელთა სერტიფიცირება და ეს პროცესი 2012 - 2014 წლებშიც გაგრძელდება; 2011-2012 სასწავლო წელს დაინერგა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლის პირველ საფეხურზე (დაწყებითი: I-VI კლასი), 2012-2013 სასწავლო წელს კი მეორე საფეხურზე (საბაზო და საშუალო: VII-XII კლასი) ამოქმედდება. გაძლიერდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება, დაინერგა მე-12 კლასის მოსწავლეთათვის აბიტურის პროგრამა, ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდან და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, შაშკინმა აღნიშნა, რომ 2012-2015 წლებშიც გაგრძელდება ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან პედაგოგების ჩამოყვანის პროგრამა, პირველკლასელები კი სკოლაში შესვლისთანავე საჩუქრად საბავშვო კომპიუტერს მომავალშიც მიიღებენ.

ამასთან, მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნის პროექტზე, სადაც მთავარი მიმართულებები საინჟინრო დისციპლინები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სოფლის მეურნეობის საკითხების შესწავლა იქნება.

შეხვედრის დამლევს მინისტრმა მოსწავლეებისა და მათი მშობლების კითხვებს უპასუხა, რომლებიც, ოპოზიციის განმარტებით, წინასწარ მომზადებული იყო.

შედით საიტზე atb.ge



# „დამთავრდეს „ცენტრ-პოინტის“ თაღლითობა!“

## ჩვენ ვართ 21-ე საუკუნის ყველაზე მასშტაბური აფიორის მსხვერპლნი

შორენა გონგლაძე

**რამდენიმეწლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ ვახტანგ რჩეულიშვილის სახელი კვლავ აქტუალობას იძენს. გუშინ პარლამენტის შენობასთან კომპანია „ცენტრ-პოინტის“ მიერ დაზარალებულმა მოქალაქეებმა აქცია გამართეს.**




„თაღლითი რჩეულიშვილი“, „სად არის ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება!“, „დამთავრდეს „ცენტრ-პოინტის“ თაღლითობა!“ – ამ შინაარსის ტრანსფარანტებითა და ხმამაღალი შეძახილებით 50-მდე ადამიანი პარლამენტის შენობაში მყოფთა ყურადღების მიქცევას ცდილობდა. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, მხოლოდ ერთ კორპუსში რჩეულიშვილების კომპანიას 6 მილიონ დოლარზე მეტი აქვს აღებული. Aქციის მონაწილეები რჩეულიშვილებთან ერთად პასუხისმგებლობას რუსუდან კერვალიშვილსაც აკისრებენ. მათი თქმით, კერვალიშვილმა ხალხი შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში. კერვალიშვილი გაკოტრების პირას მყოფი კომპანიის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა და „ცენტრ-პოინტს“ პიარს უკეთებდა.

რაც შეეხება კომპანია „ცენტრ-პოინტის“ სამართალმემკვიდრე კომპანია „დექსუსს“, რომელმაც კომპანიის მართვა რამდენიმე წლით გადაიბარა, ის აღნიშნული დავალიანების დაფარვას არ აპირებს. როგორც მისი გენერალური დირექტორი გიორგი ქანანაშვილი დაზარალებულებს უცხადებს, სხვისი ვალების გადახდას არ აპირებს და მშენებლობის დასრულებისათვის დამატებითი თანხების გადახდას ითხოვს.

**ნანა ვაშაძე, აქციის მონაწილე:**

– 2006 წელს, როდესაც „ცენტრ-პოინტის“ ბუმი იყო და ამ კომპანიას რეკლამას უკეთებდა ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი, რომელიც იყო ამ კომპანიის სახე, ამ ადამიანმა რჩეულიშვილებთან ერთად შეგვიყვანა შეცდომაში, ვინაიდან სწორედ იმ პერიოდში ფირმა კოტრდებოდა, შეგვატანინეს ფული. დიდი ეჭვი გვაქვს, რომ მთავრობა მაშინაც და დღესაც ამ ადამიანებს ხელს აფარებს. რაც შეეხება კომპანია „დექსუსს“, ისინი გვეუბნებიან, რომ ჩვენ „ცენტრ-პოინტის“ ვალებზე არ ვაგებთ პასუხს. ამას გვეუბნება პირადად გიორგი ქანანაშვილი, რომელიც „დექსუსის“ გენერალური დირექტორია. ქანანაშვილი ჩვენგან ითხოვს კვადრატულ მეტრზე კიდევ 200 დოლარის დამატებას. ეს არის ის ფართი, რომელიც მე ვიყიდე ჯერ კიდევ 2008 წელს და გადავიხადე 28 ათასი დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვკარგავთ ყველაფერს. ბინებს გვთავაზობენ სულ სხვა ადგილას, სადაც მხოლოდ კედლებია ამოშენებული, არც კომუნიკაციაა შეყვანილი, არც სხვა სამუშაოებია ჩატარებული და, ამასთან ერთად, გვეუბნებიან, რომ საჯარო რეესტრშიც ჩვენი ხარჯებით უნდა გავიფორმოთ ის ბინა. Uუბედურება ისაა, რომ თუ ამ წინადადებაზე არ დავთანხმდი, ის გადახდილი ფული გვაქვს დაკარგული. ამას წინათ შევესწარით ფაქტს, რომ რჩეულიშვილებს დივანი და სავარძლები გაუყიდიათ 800 დოლარად, შემდეგ ის ადამიანი გარდაცვლილა და სასამართლოს ძალით ედავებიან იმ თანხას მის შვილს. სასამართლომ ჩვენ სასარგებლოდ გადაწყვიტა ეს საკითხი, გადაწყვეტილება გამოტანილია, მაგრამ არ ხდება აღსრულება.

**ნანა იოსელიანი, აქციის მონაწილე:**

– მე, პირადად, გადახდილი მაქვს 32 ათასი დოლარი. ამ თანხაზე კიდევ გვთხოვენ 250 დოლარს კვადრატულში დამატებას. რაში უნდა გადავიხადო, როცა ჯერ ისედაც კვადრატულში მაქვს გადახდილი 950 დოლარი, ახლა დავამატო, რა გამომივა, ჯერ ერთი, თუ მე არ დამაშენდაDთავზე ბინა, რაში მაწყობს, ვართ გაუბედურებული ხალხი, დასამატებელი ნამდვილად არ მაქვს, მე ერთი წლის პატარა გოგო დავიტოვე და ჩემი გოგო საზღვარგარეთ გავუშვი. ის დანაზოგი, რაც ჩემმა გოგომ შეაგროვა, შევიტანეთ „ცენტრ-პოინტში“ და შეგვიჭამა ვახტანგ რჩეულიშვილმა. ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა, რჩეულიშვილები საიდან მოიტანენ ჩემს ფულს. ან დამიბრუნონ თანხა, ან ჩამაბარონ ბინა იმ მდგომარეობაში, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით.

**ნიკო დოლიძე, აქციის მონაწილე:**

– ყველაზე მნიშვნელოვანი ის კი არ არის, თუ რამდენი მაქვს გადახდილი. აქ ციფრებს მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, მოხდა საოცარი რამ – ჩვენ ვართ 21-ე საუკუნის ყველაზე მასშტაბური აფიორის მსხვერპლნი. ეს ფაქტი მოხდა საქართველოში, რომელსაც პრეტენზია აქვს დემოკრატიაზე, ითვლება უპირველეს რეფორმატორ ქვეყანად, რომელიც ებრძვის კორუფციას და ა.შ. სწორედ ამ ქვეყანაში განხორციელდა იმ დონის აფიორა, რომელიც ხელისუფლების მაღალჩინოსნების მფარველობის გარეშე წარმოუდგენელია.

დღეს „ცენტრ პოინტს“ მფარველობს სახელმწიფო, რის გამოც სიმართლეს ვერსად ვპოულობთ. სასამართლომ გაგვცა ასეთი პასუხი, რომ ეს არის ორ კერძო სუბიექტს შორის არსებული დავა და უნდა მოგვარდეს მხოლოდ მოლაპარაკების გზით. სასამართლო ამბობს, რომ კომპანიას არ გააჩნია ქონება, რის გამოც გადაწყვეტილების აღსრულება არ მოხდება. როცა საქმე ეხებოდა ქიბარ ხალვაშს, თავისუფლად შეძლეს მისი ქონების განკარგვა და განაწილება, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა არ შედის ხელისუფლების ინტერესებში. ჩვენ გვაქვს დადასტურებული ინფორმაცია, რომ ამ ყველაფრის უკან დგას ადეიშვილი. „დექსუსი“ გვთავაზობს ასეთ წინადადებას, რომ დავამატოთ გარკვეული თანხა, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. სამწუხაროდ, მათ აქვთ უფლება, რომ ცალმხრივად ეს ქონება დატვირთონ იპოთეკით და ამის შემდეგ რა მოხდება, არავინ იცის. „ცენტრ-პოინტის“ მხრიდან დაზარალებულია 20 ათას ადამიანზე მეტი და არავინ არის პასუხის გამცემი. ხალხს იჭერენ ასი და ორასი ლარის გამო და აქ ლაპარაკია რამდენიმე მილიონზე. Mმე ვთვლი, რომ სახელმწიფომ ამაზე თვალი არ უნდა დახუჭოს, ვინაიდან სიმართლე ჩვენ მხარეზეა, ჩვენ არ გვაქვს არანაირი პოლიტიკური მოთხოვნა, უბრალოდ, ვითხოვთ სამართლიანობას.

# ხალხი ივანიშვილის დასაცავად ერთიანდება

**რამდენადაც საზოგადოებისთვის ცნობილია, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური განცხადებების შემდეგ, შოკში ჩავარდნილმა ხელისფლებამ მისი შევიწროვება განიზრახა. ამ მიზნით ჩამოართვა მოქალაქეობა, 3 მილიონი წაართვა. ახლა კი ბანკი „ქართუს“ გაკოტრება აქვთ მიზნად დასახული. ხელისუფლებამ გარკვეულ ორგანიზაციებს ბიძინა ივანიშვილის ბანკთან ურთიერთობაც კი აუკრძალა.**

გულიკო ბალაძე

ხელისუფლების ქმედებების საწინააღმდეგოდ, რამდენიმე დღის წინ, პოეტმა დავით მაღრაძემ გარკვეული მორალური აქცია განახორციელა – დემონსტრაციულად მივიდა ბანკი „ქართუში“ და ანგარიში გახსნა, შემდეგ ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირი ეთერით დავით აქუბარდიასთან ერთად საზოგადოებას მოუწოდა, ბიძინა ივანიშვილის სოლიდარობის ნიშნად თვითონაც იგივე გაეკეთებინათ.

მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლის“ ორგანიზებით წამოიწყო ხელმოწერების შეგროვების აქცია ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენისა და ახლად მინიჭების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში „გადაარჩინე სიცოცხლესთან“ ერთად 68 არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს და დიდი მუშაობაა წამოწყებული დიდი ოდენობით ხელმოწერების შეგროვებისთვის.

ხალხმა იგრძნო, რომ ვითარების შეცვლისთვის რაღაცის გაკეთება შეუძლია და ბატონი ივანიშვილის ბანკისკენ დაიძრა. გუშინ ბანკი „ქართუს“ ოფისსა და მის ეზოში (ვაკის პარკის პირდაპირ) ტევა არ იყო, იმდენი ხალხი მივიდა ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად – ადამიანები ბანკში ანაბრებსაც ხსნიდნენ, ფულიც შეჰქონდათ და მისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით ხელსაც აწერდნენ. ასევე ქალაქის სხვადასხვა უბანში ხელმოწერების შეგროვების ორგანიზებაც ხდებოდა. ზოგიერთს ხელში პლაკატები ეჭირა, სადაც ეწერა: „ჩვენ ვართ 99%, სააკაშილის ბანდა 1%-ია“ ჩვენ 99% ანგარიშს ვხსნით „ქართუ“ ბანკში“.

როგორც ჩანს, ხელისუფლება დღედაღამ იმაზე ფიქრობს, როგორ ჩაძიროს ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ბევრი ვერაფერი მოიფიქრა და ხალხს ველარაფრით ხიბლავს, რადგან ბოლომდე გაკოტრებულია და ხალხის ნდობას ველარ აღიდგენს, ვერც ველარაფრით მოატყუებს. ამჯერად, ხელისუფლებამ ბანკ „ქართუსთან“ წარმომადგენლები გააგზავნა, რომლებიც იქ შეკრებილ ხალხს სთავაზობდნენ, რეგისტრაციას დასაქმებისთვის და სპეციალური ფურცლები დაურიგეს. ხალხმა დარიგებული ფურცლები დემონსტრაციულად დახია და გადაყარა. ბიძინა ივანიშვილს სოლიდარობა მფრინავთა ასოციაციამაც გამოუცხადა და „ქართუსთან“ შეკრებილებს შეუერთდა.

ჩვენ ბანკ „ქართუსთან“ მეკრებილ მოქალაქეებს გავესაუბრეთ.

**ლია ვაშაკიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკოსი.**

– მოქალაქეობა ყველა ქართველს ეკუთვნის. რაც შეეხება პრეზიდენტობას, რატომ გვზღუდავენ, 10 კაციც რომ იყოს, რა პრობლემაა, ავარჩევთ. ეს სააკაშვილისთვისაც უკეთესია. აბა, რის დემოკრატიაა?

– სააკაშვილს აწყობს დათმობა და ადამიანებისთვის თავისუფალი არჩევნის საშუალების მიცემა?

– უნდა აწყობდეს.

– საქართველოში დემოკრატია არის?

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# მინდია გულუამ საკუთარი პარტიის ხელმძღვანელად თავისი და აარჩევინა

## რატომ მიატოვა კოტე გოგელიამ „ქართული პარტია“

**3 ნოემბერს ერთი პარტია დაფუძნდა, ხოლო მეორეს შესახებ საინტერესო ინფორმაცია გახდა ცნობილი. ჩვენი ინფორმაციით, ეს ორი ფაქტი ერთმანეთთან არის კავშირში. მივყვეთ თანმიმდევრობით, „ქართულმა პარტიამ“ განცხადება გააკეთა, რომ მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენ კოტე გოგელიასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. „ქართულ პარტიაში“ განმარტეს, რომ გოგელიასთან ურთიერთობა სრულიად მიუღებლად მიაჩნიათ, რაც ეთიკის საკითხია.**

შალვა ჯოხაძე

„ქართული პარტია“, პოლიტიკური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ყოველგვარ კავშირს წყვეტს მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენ კოტე გოგელიასთან და აცხადებს, რომ მასთან ურთიერთობა, პოლიტიკური ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე სრულიად მიუღებლად მიაჩნია“, – ნათქვამია „ქართული პარტიის“ განცხადებაში.


ნანა გულუა

თუ რა არაეთიკურ ქმედებაზეა საუბარი, ვერ გეტყვით, თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავად გოგელიაც აცხადებს, „ქართულ პატრიასთან“ კარგა ხანია, საერთო არაფერი აქვს. გოგელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გაკვირვებულია, „ქართულმა პარტიამ“ მასთან ურთიერთობების გაწყვეტასთან დაკავშირებით განცხადება ახლა რომ გაავრცელა. სხვა კომენტარის გაკეთებისაგან გოგელიამ თავი შეიკავა.

მეორე ფაქტი, რომლის შესახებაც ვსაუბრობდით, მინდია გულუას პარტიის დაარსებაა. ახალი პარტია „განახლებული საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

კოტე გოგელიასა და „ქართულ პარტიასთან“ დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია მინდია გულუას პარტიასთან პირდაპირ კავშირშია, ვინაიდან გულუა-გოგელია პარტნიორები არიან. ცხადია, გოგელია ახალ პარტიაზე გადაერთო და თუ დაფინანსებაზე მიდგა საქმე, თავის რესურსებს სწორედ „განახლებულ საქართვლოს“ მოახმარს.

ახალი პარტიის ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ ნანა გულუა – „განახლებული საქართველოს“ დამფუძნებლის, მინდია გულუას და აირჩიეს. ასევე აირჩიეს პარტიის გამგეობა, რომლის შემადგენლობაში არიან: ნანა გულუა, ჯემალ ანთიძე, აპოლონ პაჭკორია, ლევან გვარლიანი, ირაკლი ქარდავა და გიორგი ვანიშვილი. ნანა გულუამ ფილარმონიაში შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდა, რომ მას გვერდით დაუდგნენ.

„საქართველოს სიყვარულით ვიწყებ ამ ბრძოლას, ვისაც არ ეშინია და ვისაც ჩემსავით და ჩემზე მეტად უყვარს საქართველო, იმედი მაქვს, გვერდით დამიდგება. მხოლოდ ტურიზმი და სოფლის მეურნეობა საქართველოს ვერ გადაარჩენს“, – აცხადებს გულუა.

დამფუძნებელი ყრილობის დასრულების შემდეგ, ნანა გულუამ ჟურნალისტების შეკითხვებს არ უპასუხა. როგორც მან განაცხადა, ის უახლოეს ხანში მოიწვევს პრესკონფერენციას და ყველა დასმულ შეკითხვას დეტალურად გასცემს პასუხს. ნანა გულუამ არც ის ახსნა, თუ რატომ არ გამოჩნდა საქართველოში მისი ძმა, მინდია გულუა.

პარტიის პრეზენტაცია ფილარმონიაში ფოლკლორული ანსამბლების გამოსვლებით დაიწყო. უჩვენეს რეჟისორ ლევან ანჯაფარიძის ფილმის ნაწყვეტები, ფხაზეთის და აგვისტოს ომის კადრები.

„განახლებული საქართველოს“ წარმომადგენლების თქმით, ახალი პარტიის მიზანია დემოკრატიული საზოგადოების ფორმირება, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მინდია გულუას საქართველოში პრორუსულ ძალად აფასებენ. ძირითადად, ასეთი შეფასებები სახელისუფლებო წრეებიდან ისმის.

დღემდე გულუა საქართველოში საქველმოქმედო მოღვაწეობით იყო ცნობილი. ის დევნილია. გულუა სოხუმში 1969 წელს დაიბადა. 1992-93 წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ კრასნოდარში ცხოვრობს. რამდენიმე წელიწადში მან საკმაოდ დიდი ქონება დააგროვა. ქართული პრესის ინფორმაციით, მინდია გულუა მოსკოვში მცხოვრებ ალექსანდრე ებრალიძესა და ვლადიმერ ხომერიკთან არის დაახლოებული. ამ ორი ფიგურის შესახებ კი ყველასთვის კარგად არის ცნობილი, თუმცა, რამდენად პრორუსული იქნება ახალი პარტიის მიმართულება, ამას დრო გვიჩვენებს.

# ხელისუფლებამ 1071 სკოლა დახურა

საქართველოს განათლების ლიგის თავმჯდომარე მანანა ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე საქართველოში 1071 საჯარო სკოლა დაიხურა. როგორც მან საპარლამენტო ფრაქციის – „„ერთობა სამართლიანობისათვის“ – გაფართოებულ სხდომაზე განაცხადა, განათლების სისტემაში ყველაზე მწვავედ სკოლების ოპტიმიზაცია დგას, რაც, ფაქტობრივად, მათ ლიკვიდაციასა და დახურვას ნიშნავს. „ვარდოსნებმა“ ხელისუფლებაში მოსვლისას 3201 სკოლა ჩაიბარეს, ამჟამად კი მხოლოდ 2130 მათგანი ფუნქციონირებს. სკოლები „ბავშვებიან-მასწავლებლებიანად გაყიდეს“, რაც კერძო ბიზნესის ინტერესს უკავშირდება. ამასთან, სკოლების ოპოტიმიზაცია მისი მოსწავლეების, მშობლებისა და პედკოლექტივის წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალადობით ხორციელდება. მოსწავლეებს სხვა სკოლებში სასიარულოდ ყოველდღიურად რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევთ. ნიკოლეიშვილმა ხელისუფლებას სხვებთან ერთად, მარტვილის რაიონის სოფელ ლეციცხვაიეს სკოლის აღდგენისაკენ მოუწოდა, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის, გელა ჭედიას სახელი აქვს მინიჭებული და უკანონოდ და დასუსაბუთებლად სხვა სკოლასთან არის მიერთებული.

– პრეზიდენტს შევახსენებ, რომ ეს ის სკოლაა, რომელსაც თქვენ აგვისტოს გმირის სახელი თავად მიანიჭეთ, შემდეგ კი, იქიდან წესიერად გამობრუნებულიც არ იყავით, როცა თქვენმა ხელისუფლებამ ის დახურა, –- აღნიშნა მანანა ნიკოლეიშვილმა.

მედიანიუსი

# მეუფე სერაფიმე: „ომის დროს მე დავლოცე დაჭრილი მინდია გულუა, ახლაც იმავე გულითა და ნდობით ვლოცავ...“

**ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა მეუფე სერაფიმე (ჯოჯუამ) დალოცა ახლად დაარსებული პარტია „განახლებული საქართველო“, რომლის თავმჯდომარეა ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის მინდია გულუას და ნანა გულუა. მეუფეს სიტყვები ფილარმონიაში გამართულ ყრილობაზე გახმიანდა. შევიტყვეთ, რომ მეუფე სერაფიმე და ბატონი მინდია გულუა სოხუმში ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ.**

**მეუფე სერაფიმეს ბორჯომში ვესტუმრეთ და ვთხოვეთ გულუების ოჯახზე საუბარი:**

– მე და გულუების ოჯახი ახლობლები, მეზობლები ვართ სოხუმიდან, რამეთუ ვცხოვრობდით, ვცხოვრობთ სოხუმში ერთ ქუჩაზე, – გვითხრა მეუფემ, – ეს ქუჩა მდებარეობს რკინიგზის სადგურის გვერდით. მისი უწინდელი სახელწოდება იყო ახალი ათონის ქუჩა, 1972 წლიდან კი აფხაზი არქეოლოგის მიხეილ ტრაპშის ქუჩა ეწოდა. ბატონ მინდიაზე და მის დაზე, ქალბატონ ნანაზე რამდენიმე წლით უფროსი ვარ, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ერთად, გვერდიგვერდ გავიზარდეთ. ამ ოჯახზე ძალზე ფაქიზი და სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს.

ამირან გულუას თბილი, სტუმართმოყვარე ოჯახი ჩვენი ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდა. ბატონ ამირან გულუას ჩემი მშობლები და მეზობლები ძალიან აფასებდნენ. ქალაქში მცხოვრები ქართველებისა და სოხუმელებისათვის ავტორიტეტულ პიროვნებას წარმოადგენდა. გულუების ოჯახის მიმართ სითბო და სიყვარული დღემდე გამომყვა. ეს უკვე წარსულია, მაგრამ ისეთ მტკივნეულ თემას უკავშირდება, როგორიცაა სოხუმი და ცნება „აფხაზეთი“.

– როგორ გაიხსენებთ 90-იანი წლების ომამდელ და ომის დროინდელ სოხუმს? ვიცი, რომ დაბომბილ სოხუმში სასულიერო პირებთან ერთად თქვენ აკურთხებდით ქუჩებს, უბნებს, ოჯახებს... და, როგორც ვიცი, მაშინ შეხვდით მინდია გულუას...

– 1991 წელს უკვე მორჩილი ვიყავი. ომი ახალი დაწყებული იყო, რომ უწმინდესის ხელდასხმით სიონში მოძღვრად ვეკურთხე. რამდენიმე დღით მომცეს სოხუმში ჩასვლის, მშობლებისა და ოჯახის წევრების მონახულების უფლება.

სწორედ მაშინ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით სამღვდელოება ქუჩებში დავდიოდით, ვაკურთხებდით ოჯახებს, უბნებს... საავადმყოფოებში დაჭრილებს ვაზიარებდით – როგორც ქართველ, ისე აფხაზ მეომრებს, საერო ადამიანებს და ამით სიყვარულს გამოვხატავდით.

1992 წლის დეკემბერი იყო, გაგრა უკვე დაკარგული გვქონდა. ბრძოლები გუმისთაზე მიმდინარეობდა... სოხუმი იბომბებოდა.

სახლებისა და ეზოების კურთხევის დროს ჩვენი ქუჩის დასაწყისში გულუების ოჯახიც ვაკურთხეთ. მახსოვს, ოჯახის ყველა წევრი ეზოში გამოვიდა. ზუსტად მაშინ შევიტყვე, რომ 20-21 წლის მინდია გულუა, რომელიც სამშობლოს დამცველთა რიგებში იბრძოდა, შინ იწვა დაჭრილი. მე მაშინვე შევედი სახლში, დავლოცე ახალგაზრდა ვაჟკაცი და ვანუგეშე.


მინდია გულუა

მინდა, სიხარულით აღვნიშნო, რომ ქუჩების კურთხევაში მონაწილეობდა შემდგომ კამანში დახვრეტილი მამა ანდრია ბურაშვილი. მამა ანდრიამ ჩვენთან ერთად აკურთხა გულუების ოჯახი და ეს სასიხარულოა, რადგან მამა ანდრია წმინდანია. გასაოცარია, 27 წლის მოკრძალებულმა, ჩუმმა ახალგაზრდამ ასეთი თავმდაბლობით როგორ მიიღო სიკვდილი ვაჟკაცობით?

უნდა გითხრათ, რომ ამ დალოცვის შემდეგ ჩემი კავშირი მინდია გულუასთან განსაკუთრებით გაძლიერდა, განმტკიცდა. დიდი ხანი არ არის, შევიტყვე, რომ მან საკუთარი ნიჭი ბრძნულად გამოიყენა, დადგა ფეხზე, ცნობილი ადამიანი – ბიზნესმენი გახდა. მიხარია, რომ გაძლიერებული პიროვნებაა.

– როგორი ფორმით აპირებთ მინდია გულუასა და მისი თანამოაზრეების მიერ ახლად დაფუძნებულ პარტიასთან თანამშრომლობას?

– იმ უფლებით, რა უფლებაც აქვს ეკლესიას, დადგენილ ფარგლებში ვითანამშრომლებ. იმედი მაქვს, მე და ბატონი მინდია ერთობლივად შევძლებთ კავშირების დამყარებას აფხაზებთან. იგი პირადად იცნობდა ბალაფშს, აქვს კავშირები. იმის მიუხედავად, რომ იარაღით იბრძოდა, მას აფხაზეთში პატივს სცემენ.

– რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენ მინდია გულუას დღესაც რომ არ განელებია ტკივილი აფხაზი და ქართველი დაღუპული ძმებისა, ამას ცხადყოფს მისი ქველმოქმედება. უშურველად ეხმარება ოჯახებს, ომის მონაწილეებს. მისი ქველმოქმედების გამოისობით ორი ეკლესია შენდება: ჩხოროწყუში დავით აღმაშენებლის სახელობისა და სამების საპატრიარქო ტაძრის ეზოში სვიმონ კანანელის სახელზე აგებული ეკლესია, რომელიც, იმავდროულად, მიძღვნილია ომში დაღუპულების ხსოვნისადმი...

– ძალიან მიხარია ამ ეკლესიების მშენებლობა, განსაკუთრებით სვიმონ კანანელის სახელობის ტაძრისა, რადგან ჩემთვის პირდაპირ ასოცირდება კამანთან და იმ ვასილისკოს წყალთან, სადაც მამა ანდრია ყურაშვილი დახვრიტეს და სადაც აფხაზი და ქართველი ერის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხებისა და ძმობის ადგილია...... ტრაგედიაც, რადგან იქ ხალხი დაიღუპა.

ამიტომ ამ ეკლესიის მშენებლობა ძალზე მნიშვნელოვანია და საზოგადოებამ უფრო მეტი ინტერესი უნდა გამოიჩინოს ამ თემისადმი. გამოვხატავ უდიდეს სიხარულს იმის გამო, რომ ეკლესიის გახსნაზე აფხაზეთიდან შაოსანი, შვილმკვდარი დედები ჩამოვიდნენ. წარმოიდგინეთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ქალბატონების თბილისში ჩამოსვლა და უწმინდესისგან კურთხევის აღება. სინამდვილეში, მათთვის ქართველი ხალხი ხომ მტერი უნდა იყოს? შეიძლება თამამად ითქვას, რომ ესაა დიდგორი. ისინი ქართველ შაოსან დედებთან ერთად სულიერად აშენებენ რწმენას. ეს უდიდესი გამარჯვებაა.

– მეუფეო, წინასაარჩევნო მარათონი ერთობ დაძაბულია, გარკვეული სიძნელეები ახლავს. ამას ცხადყოფს თუნდაც ბატონი ბიძინა ივანიშვილის მაგალითი. იგივე ხდება მინდია გულუას თავსაც – ხელისუფლება რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენებს არ სწყალობს...

– ხალხმა უნდა ილოცოს. ამას მოუწოდებს ჩვენი უწმინდესი და ხალხი არჩევანს გააკეთებს. რაც გულით სწადია და რასაც იმსახურებს, ზუსტად იმას აძლევს უფალი ერს – ეს არის ცნობილი ბიბლიური კანონი. ვილოცოთ, ვიშრომოთ, შევევედროთ უფალს და უფალი გაუხსნის ადამიანს, ხალხს გონებას, გულს... და ისინი გააკეთებენ არჩევანს. ეკლესიის პოზიცია ეს არის.

ფაქტია, რომ ფუძნდება ახალი საზოგადოება, ახალი საერო ინსტიტუტი და სათაურიც ლამაზი აქვს – „განახლებული საქართველო“.

გულუების ოჯახის ქართველობასა და ერთგულებაში მე, პირადად, ეჭვი არ მეპარება. გულწრფელად მწამს და მჯერა, რომ მინდია გულუა ვაჟკაცია, რომელიც მზად არის, სამშობლოს სიცოცხლეც შესწიროს, თუ მას ეს დასჭირდება.

აფხაზეთის ომის დროს მე დავლოცე სრულიად ახალგაზრდა მინდია გულუა. სიმბოლურია, რომ დღესაც იმავე გულითა და ნდობით მიტროპოლიტი სერაფიმე ვლოცავ მას, ყველა მის გზას, სურვილს, ნაბიჯებს. ვენდობი მას... და, ღმერთმა ქნას, როგორც მაშინ განკურნა ოციოდე წლის დაჭრილი ახალგაზრდა, ახლაც ჩემი დალოცვა მისი გეგმების გამარჯვებისა იქნება – ჩვენი ტკბილი სამშობლოსათვის – საქართველოსთვის სიკეთის მომტანი იქნება.

ვლოცავ ქალბატონ ნანა გულუასაც, რომელიც ამ პარტიის თავმჯდომარეა და ყველა მათ მეგობარს. ვლოცავ ყველა იმ ადამიანს, ვინც მათ გვერდითაა. მწამს და ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი არიან ჭეშმარიტი ქართველები, ჩვენი ქვეყნის პატრიოტები. ვუსურვებ მათ წარმატებებს, სიბრძნეს, სიმშვიდეს, სიხარულს, საქართველოს, ჩვენი სამშობლოს სიყვარულს! მჯერა, ისე არ წავალთ ამქვეყნიდან, რომ არ ვიხილოთ სოხუმთან და აფხაზეთთან ერთად საქართველოს გამთლიანება.

დასასრულის მაგიერ:

მიაქციეთ ყურადღება, მეუფე სერაფიმე ინტერვიუში ამბობს: ჩვენ ვცხოვრობთ სოხუმშიო!.. და არავითარ შემთხვევაში – ვცხოვრობდით... ამაზე მეტი სასოება რაღა უნდა იყოს?

**თამარ შაიშმელაშვილი**

# ხალხი ივანიშვილის დასაცავად ერთიანდება

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– ახლა ვხედავთ, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის იმიტომ, რომ ბანკებს შეეხნენ. ეს ბანკები ჩვენია, ხალხისაა. როგორ შეიძლება ბანკებს შეეხო, განადგურება დაიწყო, დახურო? ეს ყოვლად მიუღებელია. აქედან გამომდინარე, განსაზღვრეთ, სააკაშვილი დემოკრატია თუ არა. სააკაშვილს მე ორჯერ მივეცი ხმა, მაგრამ დღევანდელობიდან გამომდინარე, მხარს ნამდვილად აღარ დავუჭერ.

– ე.ი. იმით, რასაც სააკაშვილი ახლა სჩადის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, თავის ამომრჩეველსაც კარგავს.

– ასეთი ქმედებებით სააკაშვილი თავის ამომრჩეველს ნამდვილად დაკარგავს. ბოლო არჩევნებში უგულავასაც მივეცი ხმა იმიტომ, რომ ჩემი თანამშრომლის შვილია და კიდევ რაღაცას ვფიქრობდი, მაგრამ ახლა ნამდვილად აღარ მივცემ ხმას. როგორ შეეხნენ ბანკს? მოქალაქეობას როგორ არ აძლევს ქართველს, როცა აფრიკიდან ჩამოსულებს და ვიღაც ტინგიცა მომღერლებს ბინებიც მისცა და მოქალაქეობაც. თუკი რუსეთში ნამუშევარ ვაშაძეს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა და მოქალაქეობა მისცა, ივანიშვილს რატომ არ ეკუთვნის, რომელმაც ძალიან ბევრი რაღაც გააკეთა. 2002 წელს მიწისძვრა რომ მოხდა (მე ამ საკითხში ჩართული ვიყავი), პირველი დახმარება „ქართუ“ ბანკმა გაუკეთა. ის ფულები შევარდნაძემ სად წაიღო., არ ვიცი. ნამდვილად ვიცი, ეს ფული ხალხამდე არ მივიდა. ესეც გამოსარკვევია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს კარგის მეტი რა გაუკეთებია. ბენდუქიძემ უნივერსიტეტიდან იშოვა ფული, კომპიუტერები ჩამოჰქონდა და ჩვენ ვიძენდით. რომ გვიფუჭდებოდა ან გვპარავდნენ, ნაწილებიც მოჰქონდა. ბენდუქიძემ ფული აქ იშოვა და შემდეგ რუსეთში გააგრძელა. ბენდუქიძე ვინმეს დაეხმარა? სოციალურად ან რამენაირად ვინმეს რაიმე გაუკეთეს. ესეც რომ არ იყოს, მოგვბეზრდა ეს სააკაშვილობა. აღარ მინდა ამ ხალხის ყურება, არ შეიძლება ახლა დათმოს? ნაციონალები ხელისუფლებაში პირველად რომ მოვიდნენ, თქვეს, როცა თქვენ იტყვით, აღარ გინდივართ, წავალთო. ღმერთო ჩემო, რატომ არ მიდიან?

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლით მომავლის იმედი გაჩნდა. ამან საზოგადების სტიმულირება გამოიწვია.

– იმედია, საბოლოოდ პროცესები ისე წარიმართება, რომ ხალხი შეძლებს თავისი ღირსების დაცვასა და საკუთარი ღირსების დაცვას, საკუთარი ქვეყნის გადარჩენას ავტორიტარიზმისაგან, დიქტატურისა და სააკაშვილის რეჟიმიგან. დღეს ბანკ „ქართუს“ სოლიდარობას ვუცხადებ. ვაპირებ ანგარიშის გახსნასაც სიმბოლურად, სოლიდარობის ნიშნად. ეს არის ძალიან კარგი ინიციატივა, რომელიც ბატონებმა დავით აქუბარდიამ და დავით მაღრაძემ გაახმოვანეს. აშკარად სერიოზული გააქტიურება იგრძნობა საზოგადოებაში და დარწმულებილი ვარ ეს ბრძოლა ბოლომდე მივა. შედეგი უნდა იყოს სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა მრავალპარტიული მმართველობით, – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

– როგორ ფიქრობთ, როგორია ხელისუფლების რეაქცია, როცა ხალხის ასეთ სოლიდარობას ნედავს?

– ბუნებრივია ხელისუფლება სერიოზულად შეშფოთებულია, მაგრამ მათი შეშფოთება და ფაცი-ფუცი შედეგს ნამდვილად ვერ გამოიღებს.

ალექსანდრე შალამბერიძე ფიქრობს, რომ სამოქალაქო საზოგადოება (რომელიც ახლა აქტიურობს და გარკვეული ინიციატივებით გამოდის) ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის შემდგარი. ამოცანაა ამ ადამიანებმა ცვლილება დაუკავშირონ არა პიროვნელის შეცვლას, არამედ თავისი პრობლემების გადაწყვეტას. ხელისუფლების ცვლილება უნდა ნიშნავდეს მათი პრობლემების გადაწყვეტას. პროცესო, რომელისც ახლა მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის. ეს შეკრება მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანებს ესმით შექმნილი სიტუაციის არსი და ისინი მზად არიან შექმნან სამოქალაქო საზოგადოება.

– ბატონო ალეკო, ნორმალურ ვიტარებაში პრობლემებს წყვეტენ ადამიანები, რომლებიც არიან ხელისუფლებაში და მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით. ამ შემთხვევაშიც და საერთოდაც ასეთი პროცესები ძალაუნებურად პიროვნებებს უკავშირდება..

– უკავშირდება ინსტიტუტებს. ჩვენი ამოცანაა, პიროვნებებიდან ინსტიტუტებზე გადავიდეთ. დღეისთვის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებაა. ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ მთელი საზოგადოების ყურადღება არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლაზე გადაიტანა. ეს მანიშნებელია იმისა, რომ ინსტიტუტებისკენ მივდივართ. ჩვენი უბედურება ისაა, რომ პიროვნებები იქებენ მთელ ძალაუფლებას და ამას ბოროტად იყენებენ. ჩვენი ამოცანაა, ერთი პიროვნების ხელში კი არ იყოს ძალაუფლება, არამედ განაწილებული იყოს. ზუსტად ეს შანსია დღეს – სააკაშვილი არის ხელისუფლებაში, მეორეს მხრივ გამოჩნდა პიროვნება, რომელსაც დიდი ფინანასური შესაძლებლობები აქვს...

– და არ სურს ქართველი ხალხის ზურგით გამდიდრება, როგორც სააკაშვილი და მისი ხელისუფლება გამდიდრდა ხალხის გაძვალტყავებით...

– დიახ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამით მოხდება დაბალანსება, რაც გამოიწვევს ჩვენი პრობლემების გადაწყვეტას.

ია მეტრეველი – ბუტა რობაქიძის დედა:

– მე აქ გუშინაც ვიყავი. დავაფიქსირე ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა. ძალიან დიდი იმედით ვარ გამსჭვალული. ეს არის ბოლო იმედი. ამ პიროვნებას თავისის საქმეებით ვიცნობთ. მან ნახევარი საქართველო სიკვდილს გადაარჩინა და სიცოცხლე გაუგრძელა. დარწმუნებული ვარ ამ ქვეყანას ააყვავებს. ქვეყანა გახდება ისეთი, როგორიც გვენატრება. შეუქცევადი პროცესი დაიწყო. ამას ველარაფერი შეაჩერებს. მოვითხო, ბატონ ივანიშვილს აღუდგინონ მოქალაქეობა. გარდა იმისა, რომ ჩვენ გაგვანადგურეს და სიცოცხლე წაგვართვეს, სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას იმდენი დარღვევა, იმდენი კრიმინალური ქმედება აქვთ ჩადენილი, იმდენ ადამიანს გაუმწარეს ცხოვრება (არა მარტო ბუტას შემთხვევაში, არამედ სხვების მიმართაც), რომ არ შეიძლება მათ პასუხი არ აგონ. დარწმნებული ვარ, ბატონი ბიძინა სამართალს აღადგენს.

ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემა სტუდია „სპექტრის წამყვანს დავით აქუბარდიასაც გავესაუბრეთ.

– ბატონო დავით, მგონი თქვენ და ბატონმა დავით მაღრაძემ სამოქალაქო მოძრაობას დაუდეთ სათავე...

– მე არ დამიდია სათავე სამოქალაქო მოძრაობისთვის. სამოქალაქო მოძრაობა თავად ხალხმა შექმნა. ეს არის რეალური პროტესტი ეროვნული ბანკისა და ხელისუფლების უტვინო აქციების წინააღმდეგ. მათ ძალიან ცუდი საქმე გააკეთეს, როდესაც „ქართუ-ბანკის“ დაყადაღება განიზრახეს და გარჯვეული უცნაურობები Vაიდინეს. ვფიქრობ, ეს არის საზოგადოების ადეკვატური რეაქცია და მე ჩვეულებრივად დავუდექი იმ განწყობას, რასაც ჰქვია არაძალადობა. ხელისუფლებამ ძლადობა ჩაიდინა მე არ მიყვარს ძალადობა. სოლიდარობას ვუცხადებ ბანკ „ქართუს“. რეგისტრაციამდე ვერ მივაღწიე იმდენი ხალხია. ეს არის განწყობა.

– ამდენ ხალხს რომ დაინახავს, ხელისუფლების რეაქცია როგორი იქნება?

– ხელისუფლება ადეკვატურად უნდა იქცეოდეს. ხელისუფლების მსგავსი ქმედება და რეაქცია, რაც ახლა ჰქონდა, მასობრივი გახდა, საქართველოს საბანკო სისტემას დაანგრევს. ამიტომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გონიერება უნდა გამოიჩინოს, ბანკი „ქართუდან“ გაიწვიოს ისინი ვინც შემოიყვანა, ბოდიში მოუხადოს „ბანკ „ქართუს“, დააბრუნის წართმეული თანხები და დაამყაროს ცივილიზებული ურთიერთობა. მიზანი ეს არის.

შედით საიტზე atb.ge


# „გაგვაგებინოს ალასანიამ, რაზე ელაპარაკა ბოკერიას“

## პატარკაციშვილს ხელისუფლებაზე მეტად ოპოზიცია ებრძოდა

**რა კითხვები აქვს ალასანიასთან, რა გეგმები აქვს სააკაშვილს ივანიშვილის წინააღმდეგ, რა ბრალდებებს უყენებს უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს ლაშა ნაცვლიშვილს და რატომ არ აქვს თარგამაძეს პატარკაციშვილის ხსენების უფლება? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ელისო კილაძეს ექსკლუზიურად ესაუბრა. საუბარი ივანიშვილის პრესკონფერენციით დავიწყეთ.**

ქეთი ხომერიკი


ელისო კილაძე:

**ელისო კილაძე:**

– სრულიად არაადეკვატური იყო ჟურნალისტების საქციელი, არ ვიცი, კონკრეტულად რა დავალება ჰქონდათ მათ, ძალიან ცუდად იქცეოდნენ. ჟურნალისტების ამ მოქმედებიდან გამომდინარე იყო ისიც, რომ ივანიშვილის პასუხები ამომწურავი არ იყო და დარჩა შეკითხვები და გეტყვით, რა შეკითხვები დამრჩა მე. პირველი, როცა ივანიშვილი ლაპარაკობს, რომ პოლიტიკური პარტიების ნაწილი ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა, რატომ არაფერს ამბობს თავის დღევანდელ პოლიტიკურ პარტნიორებზე – რესპუბლიკელებსა და ალასანიაზე, თუნდაც განცხადების დონეზე, რომ ეს პარტიებიც თანამშრომლობდნენ ხელისუფლებასთან.

***– ივანიშვილს ალასანიასთან კითხვები არ აქვს...***

– მე მაქვს სამაგიეროდ კითხვები ალასანიათან. მაგალითად, მაინტერესებს საზოგადოებისთვის ცნობილი ორი შეხვედრის დეტალები ბოკერიასთან, იყო თუ არა კიდევ სხვა შეხვედრები და რაზე ისაუბრეს მათ. ასევე ალასანიას პრესკონფერენცია, რომელიც მას ტაბულას რედაქტორმა, ბოკერიას მეუღლემ მოუწყო და მადლობები და ურთიერთსიმპათიები, რომ ეს არის უნიკალური პროექტი, ანუ ნიშნავს თუ არა ეს ივანიშვილისთვის იმას, რომ მისი პარტნიორი პოლიტიკური ძალებიც მინიმუმ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში შემჩნეულნი არიან. მე ეს კითხვა მაქვს. და აუცილებლად ვკითხავდი ივანიშვილს, რა გარანტია აქვს, რომ მისი პოლიტიკური პარტნიორები მომავალშიც არ ითანამშრომლებენ ხელისუფლებასთან, რადგან ამის გამოცდილება გვაქვს და მეორე, ჩრდილელთან დაკავშირებით დავუსვამდი შეკითხვას, თანაც აუცილებლად. აი, ეს კითხვები ჟურნალისტებმა მას რატომღაც არ დაუსვეს.

***– ივანიშვილს პოლიტიკურ გემოვნებას უწუნებთ ?***

– თუ მას ჰქონდა ამოცანა, რომ პრორუსული ორიენტაცია არ მიკერებოდა, მაშინ ტაქტიკურად მან სწორი ნაბიჯები გადადგა, თუმცა აქაც არსებობს კითხვები, რადგან იგივე ალასანიასთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის დერეფანში შემთხვევით შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს და პოლიტიკაში, მე, ასეთი შემთხვევითი შეხვედრების ლიფტში და დერეფანში არ მჯერა, რა თქმა უნდა, მეტს ვეღარაფერს გეტყვით.

***– რაც შეეხება მმართველ გუნდს, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, არის თუ არა დაპირისპირება და დაწყებულია თუ არა ,,ნაციონალური მოძრაობის“ რღვევა?***

– რასაკვირველია, ივანიშვილის გამოჩენამ ეს რყევები გამოიწვია, ეს უკვე დაწყებულია, მეტიც, ხელისუფლებაშიც გააჩინა გარკვეული ეჭვები, ისევე როგორც ჩემთვის ნიშანდობლივია ის განცხადებები, რომელიც თავისუფლების ინსტიტუტის წიაღში გაზრდილმა ადამიანებმა გააკეთეს, მხედველობაში მაქვს გია ნოდიას განცხადება, რომ ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა იყო გარკვეული პანიკა ხელისუფლების მხრიდან. ასევე თუთბერიძეს ეთერი კავკასიაზე, ანუ ყველაფერი ეს მგონია, რომ ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებია და საბოლოო ჯამში, ეს რყევები, რასაკვირველია, იქნება. და რამდენად იქნება ეს გამოხატული იმაში, რომ ბოკერია ღიად გადაბარგდება ივანიშვილთან, თუ ეს იქნება გარიგება და ისინი ამერიკელების რჩევას გაითვალისწინებენ და იქნება ხელისუფლების გადაბარება – ჩანაცვლების პროცესი, ამას დავინახავთ. თუ ეს ასეა და ამის საფუძველიც არსებობს, იმ 18 ელჩის ვიზიტი ივანიშვილის ბიზნესცენტრში ნიშნავს იმას, რომ აქ გარკვეული ტიპის საერთაშორისო მხარდაჭერებზე უკვე არის ლაპარაკი. რასაკვირველია, ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია აქ 2003 წლის ანალოგთან გვქონდეს საქმე, რასაც დაარქვეს ვარდების რევოლუცია, სინამდვილეში კი მოხდა ხელისუფლების გადაბარება.

***– ხელისუფლებაში აღარ იქნება სააკაშვილი, მაგრამ რაიმე ფორმით დარჩებიან ბოკერია, უგულავა, ადეიშვილი და სხვები?***

– რაშიც კატეგორიულად არ დავეთანხმები ივანიშვილს, გახლავთ ის, რომ მან ერთადერთი პრობლემა დაასახელა ქვეყანაში – სააკაშვილი, ეს მიუღებელია ჩემთვის, რადგან რაც დღეს ხდება ქვეყანაში ამაზე არამხოლოდ სააკაშვილი, არამედ მთელი მისი გარემოცვაა პასუხისმგებელი. თუ ივანიშვილი აპირებს, რომ შეცვალოს მხოლოდ სააკაშვილი და სააკაშვილის რეჟიმის ყველა მონაწილე ხელშეუხებელი დატოვოს, პირდაპირ გეუბნებით, რომ არანაკლები დამნაშავეა, თუნდაც ის მოსამართლე, რომელმაც უკანონო განაჩენი გამოიტანა და ყველა ადამიანი, ვინც უკანონო ბრძანებებს ასრულებს. ის არ არის გამართლება, რომ ვიღაცა არის სიტუაციის ტყვე. არ არის ამ ქვეყანაში მხოლოდ სააკაშვილი პრობლემა, მეტსაც გეტყვით, შესაძლებელია სააკაშვილი სწორედ მისივე გარემოცვის ტყვე იყოს და თუ ლაპარაკია იმაზე, რომ ივანიშვილმა უნდა შეცვალოს სააკაშვილის რეჟიმი, მაშინ უნდა შეიცვალოს რეჟიმის ყველა კომპონენტი და არ უნდა შეიცვალოს მხოლოდ რეჟიმის სათავეში მყოფი ადამიანი.

***– რაზეა წამსვლელი სააკაშვილი, თქვენი ინფორმაციით, როგორია მისი გეგმები ივანიშვილის წინააღმდეგ?***

– სააკაშვილი დგას სერიოზული პრობლემის წინაშე, პრემიერ-მინისტრი ვერ ხდება, უცხოელები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი სხვაგან წყდება, ამერიკაში... გარდა იმისა, რომ საერთაშორისო გარანტიები არ აქვს, მას გასაკონტროლებელი ჰყავს საკუთარი გუნდი, რასაც აქამდე ახერხებდა და ახლა რამდენად მოახერხებს, არ ვიცი. თუ ხელისუფლება დაინახავს, რომ არჩევნებზე მას შანსები არ აქვს და ადმინისტრაციული რესურსი, სულ რომ თავი მოიკლან, 30 % არ სცდება, არ გამოდის ის ბალანსი, რომელიც ხელისუფლების შესანარჩუნებლად სჭირდებათ, მაშინ არ გამოვრიცხავ, რომ პროვოკაციებს ჰქონდეს ადგილი. შესაძლებელია ეს იყოს შეიარაღებული ტიპის დაპირისპირებაც, რაც იქნება ქვეყნის დაღუპვა. რაც შეეხება ხელისუფლების გეგმებს ივანიშვილის წინააღმდეგ, რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი განიხილებოდა. ერთი იყო ვადამდელი არჩევნები, რათა ივანიშვილს ვერ მოესწრო პარტიის ჩამოყალიბება, მაგრამ ეს ჯერჯერობით, გამოირიცხა, რადგან იმდენად აჟიტირებულია საზოგადოება, რომ ის, რასაც ივანიშვილის სახელი დაერქმევა, ძალიან ბევრ ხმას მიიღებს და არჩევნებს ხელისუფლება ვერ მოიგებს. თუმცა ვადამდელი არჩევნები ჯერჯერობით მაინც განიხილება, ოღონდ არა აქტიურ ფაზაში, აქ ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს ბიუჯეტის ირგვლივ დაწყებული აურზაური, რომ თებერვალში პარლამენტი არ მიიღებს ბიუჯეტს, ჩააგდებს უმრავლესობა და ეს იქნება პარლამენტის დათხოვნის მიზეზი. არის სხვა გეგმაც – ,,პატიმრობის შესახებ კანონში“ შევიდეს ცვლილება, პატიმრებს ხმის უფლება მიანიჭონ და ეს იქნება არა მარტო პატიმრების, არამედ მათი ოჯახების მობილიზაციაც, ისევე როგორც არის ლაპარაკი წვევანდელების რიცხვის არნახულად გაზრდაზე, რათა წამოიღონ მათი ხმებიც. განიხილება ივანიშვილის დეპორტაციაც, მზადდება ფილმებიც, რაც ცნობილი მეთოდია, სააკაშვილს ოპოზიციის ლიდერებზე, სამწუხაროდ, ბევრი კომპრომატი აქვს და როგორ გამოიყენებს ამას, მალე დავინახავთ. ასევე მენიშნა ლაშა ნაცვლიშვილის გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე ივანიშვილის მხარდამჭერად.

***– რას გულისხმობთ?***

– ერთი წლის წინ განვაცხადე, რომ ნაცვლიშვილის მეშვეობით შვეიცარიაში ერთმანეთს შეხვდნენ კიწმარიშვილი, ოქრუაშვილი და ,,ეფესბეს“ მაღალჩინოსანი სერგეი ბესედა. ერთი წელი გავიდა, ნაცვლიშვილს კი ამ ბრალდებებზე პასუხი არ გაუცია და ახლა, უცებ ივანიშვილის გამოჩენისთანავე ეს ადამიანი, რომელიც ცნობილი ნარკომანია, გულიც კი შეუწუხდა საკუთარ კაბინეტში დოზის გადამეტების გამო, როცა უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო, უცებ გამოჩნდა და გამოჩნდა როგორ – ივანიშვილის მხარდამჭერად, ეს არის პირდაპირი კავშირი რუსულ ,,ეფესბესთან“ და არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ასე მიაბან ივანიშვილი რუსეთს, ანუ თუ ის იქნება ივანიშვილის გუნდში. ზუსტად ვიცი, რომ ნაცვლიშვილი დაკავშირებულია რუსულ ,,ეფესბესთან“ ეს ერთი და მეორე. მე დღეს დაგისახელებთ ორ ფაქტს და ერთი იქნება თქვენი პირადი ექსკლუზივი, რომელზეც შეუძლიათ, რომ შესაბამისმა ორგანოებმა აღძრან სისხლის სამართლის საქმე. პირველი– ნაცვილშვილმა 2002 წელს ქრთამის სახით 70 ათასი დოლარი აიღო საქართველოს რკინიგზისგან და ეს ეხება 2002 წლის რუსეთ-საქართველოს მატჩს, როცა სტადიონზე გაითიშა შუქი, არ ჩაირთო გენერატორი და იმის გამო, რომ ტრანსლაციის უფლება გაყიდული იყო, 22 ათასი ბილეთი გახდა დასაბრუნებელი, უშიშროებამ დაიწყო გამოძიება იმის, თუ რატომ არ ჩაირთო გენერატორი და გამოძიება უშუალოდ ჰქონდა დავალებული ნაცვლიშვილს, რა თქმა უნდა, კაკო ჩხაიძემ მოაგვარა საქმე შევარდნაძესთან და 70 ათასი დოლარი გადასცეს ნაცვლიშვილს იმისთვის, რომ ეს საქმე ჩაეფარცხა. და თუ გამოძიება ამ საკითხზე დაიწყება, შემიძლია დავუსახელო კონკრეტული გვარი, ვინც ამ საქმის მოგვარებაში იყო ჩართული. მეორე, ექსკლუზიურად თქვენთვის – ნაცვლიშვილმა უშიშროების მინისტრის მოადგილის პოსტზე ყოფნისას ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნიდან ირანელებს მიყიდა რამდენიმე უნიკალური დანადგარი. აქ საქმე ეხება მილიონებს და არ არის ლაპარაკი ჯართზე, რომელიც, ვთქვათ, ავტოქარხნიდან იყიდებოდა.

***– ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებებია...***

– მე დოკუმენტებიც მაქვს, ჰაერზე არასდროს არაფერს ვლაპარაკობ, ამიტომ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული მასალა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ გახდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი. თუ ხელისუფლება გამოძიებას არ დაიწყებს, ჩემი ყველა ეჭვი, რომ ნაცვლიშვილის გამოჩენა დაკავშირებულია ივანიშვილის კომპრომეტაციასთან, იქნება დადასტურებული. როცა მლანძღავს ნაცვლიშვილი და საშოვარზე გამოსულს მეძახის, კარგად დაფიქრდეს, ვის ჰყავდა ოჯახის წევრი საშოვარზე გამოსული და ნუ ჰგონია, რომ არავინ არაფერი იცის. ასე რომ, თუ ,,ეფესბეს“ კაც ნაცვლიშვილს ივანიშვილის გუნდში ვიხილავთ, ხელისუფლება ივანიშვილს რუსულ ფაქტორს უპრობლემოდ მიაბამს.

***– ხშირად ავლებენ პარალელს ივანიშვილსა და პატარკაციშვილს შორის... ივანიშვილი პატარკაციშვილს უპირისპირდებოდა?***

– პარალელებს გამოვრიცხავ, რადგან დღეს ივანიშვილი გახლავთ აბსოლუტურად სხვა პოლიტიკურ რეალობაში. ჩვენ საერთაშორისო მხარდაჭერა არ გვქონდა და მეტსაც გეტყვით რა, ის ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც პატარკაციშვილმა დაიწყო, ჩვენ წავაგეთ და წავაგეთ იმიტომ, რომ ხელისუფლებასთან ერთად გვებრძოდა ოპოზიციაც.

---

# ცემით კიდევ ერთი პატიმარი მოკლეს

შალვა ჯოხაძე

## „ხელი სიგარეტით აქვს ამომწვარი, შუბლი და ცხვირი – გატეხილი, თითი – მომტვრეული“

პატიმრებს კვლავ სასტიკად უსწორდებიან. ასეთ ცემა-წამებას ყველა როდი უძლებს. რამდენიმე დღის წინ, ზუგდიდში კიდევ ერთი პატიმარი მოკლეს ცემით, – ამის შესახებ განცხადებას გარდაცვლილი მურმან კალანდიას დედა აკეთებს. მურმან კალანდია 3-წლიან პატიმრობას ძარცვისთვის იხდიდა. მას საპატიმრო ვადა 2012 წლის აპრილში ეწურებოდა.

კალანდიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველი უკვე ინფორმირებულია. სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, რომ მათი წარმომადგენლები ზუგდიდისა და ქუთაისის საპყრობილეებში იმყოფებოდნენ, ისინი კალანდიას გარდაცვალების ფაქტითაც დაინტერესდნენ და როგორც კი საქმის შესწავლა დასრულდება, ისინი დეტალურ ინფორმაციას გაავრცელებენ.

მომხდარი ფაქტის შესახებ „ახალ თაობას“ ინფორმაცია თავდაპირველად ადამიანის უფლებათა დამცველმა, გიორგი თევზაძემ მიაწოდა. მას რეგიონიდან აცნობეს, რომ მურმან კალანდია ცემით იყო მოკლული.

**გიორგი თევზაძე:**

– პატიმარს ზუგდიდში სცემეს, შემდეგ თბილისში უნდოდათ მისი გადმოყვანა, გზად გეგუთში შეიარეს, თუმცა კალანდია გზაშივე გარდაიცვალა. გარდაცვლილს დაზიანებები აღენიშნება, ცხვირი აქვს გატეხილი, თითი – მომტვრეული, სხეულზე წითელი ზოლები ემჩნევა, რადგანაც ხელკეტებით გაუსწორდნენ, სიგარეტით აქვს დამწვარი ხელის მტევანი. ფაქტია, ეს ადამიანი უსასტიკესადაა ნაცემი. დედამისი აცხადებს, რომ სანამ ეს ფაქტი მოხდებოდა, მან შვილი ციხეში მოინახულა. მურმანი არაფერს უჩიოდა. ერთადერთი, კუჭ-ნაწლავის პრობლემა ჰქონდა. დედამ ექიმს როდესაც ჰკითხა, მისგან მიიღო პასუხი, არანაირი პრობლემა არ არის, სხვა მხრივ ჯანმრთელიაო. ეს ყველაფერი კითხვებს ბადებს, რომ არა პატიმარზე განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორება, ის ხომ ცოცხალი იქნებოდა?

ზუგდიდის მეოთხე საპყრობილეში ნაცემი პატიმრის, მურმან კალანდიას ოჯახი, პატიმრის გარდაცვალებაში ციხის ადმინისტრაციას ადანაშაულებს. ოჯახის მტკიცებით, პატიმარი ცემისაგან მიყენებული ტრავმებით გარდაიცვალა.

გარდაცვლილს ექსპერტიზა ქუთაისში ჩაუტარდა. ოჯახს ექსპერტიზის ბიუროდან აცნობეს, რომ პასუხი ერთ თვეში იქნება ცნობილი. გარდაცვლილის ოჯახი სახელმწიფო ექსპერტს არ ენდობა და საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვას ითხოვს.

გარდაცვლილის, 42 წლის მურმან კალანდიას ოჯახის წევრებმა ადგილობრივ მედიას მომხდართან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. როგორც ტსპრესს.გე-ს („თავისუფალ სიტყვას“) გარდაცვლილის ოჯახმა განუცხდა, მათზე ზეწოლა ხორციელდება.

კალანდია ქუთაისში 31 ოქტომბრს გარდაიცვალა. ოჯახის ინფორმაციით, ნაცემი პატიმარი ზუგდიდის საპყრობილიდან თბილისში ციხის საავადმყოფოში გადაჰყავდათ.

– ბადრაგმა, გზად გეგუთის საპყრობილეში სხვა პატიმრების წასაყვნად რომ შეიარა, სწორედ მაშინ მომკვდარა ჩემი ძმა. გადმოსასვენებლად რომ მივედით, გვითხრეს, მანქანის კარი რომ გავაღეთ, ცუდად იყო, დაეცა და გარდაიცვალაო. გვატყუებენ! ჩემი ძმა მშვენივრად იყო და




ცემისგან მოკვდა, – ამბობს გარდაცვლილის და მედეა კალანდია.

დედამ პატიმარი შვილი ზუგდიდის საპყრობილეში 16 ოქტომბერს მოინახულა და როგორც თავად ამბობს, მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ ჰქონია.

– 31 ოქტომბერსაც მივედი ციხეში, მისი ნახვა მინდოდა, კუჭ-ნაწლავის პრობლემა ჰქონდა და ციხის ექიმს შევახსენე, წამლებს ხომ აძლევთ-მეთქი?! მითხრა, შენი შვილი ძალიან კარგად არის, პრობლემა არ აქვსო. თურმე, მეორე დღეს, გამთენიისას, გარდაიცვალა, – აღნიშნავს გარდაცვლილის დედა, ჟუნა კალანდია.

დედის თქმით, მისი შვილი ნაცემია და მრავლობითი დაჟეჟილობები აღენიშნება.

ჟუნა კალანდია:

– ხელი სიგარეტით აქვს ამომწვარი, ზურგზე წითელი ხაზები აქვს, ვფიქრობ, „დუბინკითაა“ ნაცემი. მკლავი ჩალურჯებული, შუბლი და ცხვირი გატეხილი, მარჯვენა ხელის ერთი თითი კი მომტვრეული აქვს.

გარდაცვლილის დედა ზუგდიდის საპყრობილიდან გამოსულ რამდენიმე მარს გაესაუბრა და მათგან დამატებითი ინფორმაცია მიიღო.

– პატიმრები ვნახე, ვკითხე, როგორ გექცევიან-მეთქი. მითხრეს, შუაღამისას შემოვლენ და გვეუბნენიან „კაიფში“ ვართ და უნდა გცემოთო, ალბათ, სწორედ ასეთ დროს შემოაკვდათ ჩემი შვილი, თორემ სასიკვდილო რა სჭირდა?! – აცხადებს ჟუნა კალანდია.

გარდაცვლილის ჩამოსასვენებლად ქუთაისში რომ ჩავიდნენ, გამომძიებელმა ოჯახს გარდაცვალებისა და ტრავმების მიზეზად, მანქანიდან გადმოვარდნა დაუსახელა.

– ადგილობრივმა გამომძიებელმა გვითხრა, დაჟეჟილობები მანქანიდან გადმოსვლისას რომ დაეცა, სწორედ იმ დროს მიიღოო, არადა, როგორ უნდა მიეღო ტრავმები ერთდროულად ზურგზე, ცხვირზე, მკლავზე, შუბლზე?! ან საინტერესოა, ხელზე ნამწვები როდის მიიღო?! ჩემი ძმა ნაწამებია, მერე ცუდად გახდა, ეტყობა, თბილისში ციხის საავადმყოფოში გადაყავდათ და იმ დროს შემოაკვდათ,“ – უთხრა „თავისუფალ სიტყვას“ მედეა კლანდიამ.

მურმან კალანდიას უმცროსი ძმა სასჯელს ქსნის კოლონიაში იხდის, სწორედ ის დაუკავშირდ ოჯახს ძმის გარდაცვალებიდან მეორე დღეს და უთხრა, რომ მისი ძმა ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, არავის მოუკლავს, რასაც ოჯახი ზეწოლად მიიჩნევს.

– ტელეფონით დაგველაპარაკა და გვითხრა ეს ამბავი არ გაახმაუროთ და ჟურნალისტებთან ურთიერთობას მოერიდეთო, ეს ბუნებრივი სიკვდილი იყოო. ძალიან მეშინია, მეორე შვილიც არ მომიკლან, – ამბობს გარდაცვლილი პატიმრის დედა.

მურმან კალანდიას ოჯახი საქმის სწორად გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვს.

ზუგდიდის მეოთხე საპყრობილის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მომხდართან დაკავშირებით ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

# „მწვანეები“ ბენდუქიძის „სიგიჟეებს“ ებრძვიან

თამარ ნინიძე




მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე გია გაჩეჩილაძე ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისების ახალ ფარულ გეგმაზე საუბრობს.

გაჩეჩილაძემ საზოგადოებას შეახსენა 2006 წლის ბენდუქიძისეული გეგმა მდინარეების, აუზების პრივატიზაციის შესახებ. ამ გეგმის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიის 66% სამ მეპატრონეზე უნდა გადაცემულიყო (ალაზნის, მტკვრისა და რიონის აუზები) და რა ძალისხმევა დასჭირდათ მწვანეებს, რომ ეს პროცესი შეეჩერებინათ.

,,დიდი ომი გვქონდა ბენდუქიძესთან და ბოლოს ეს პროექტი ფსიქიატრიულ საავადმყოფოს გადავეცით. ბენდუქიძე არსად წასულა, ამჟამად კი პარლამენტში წარმოდგენილია ახალი პროექტი, რომელსაც ,,სატყეო რეფორმა“ ჰქვია და შინაარსით კი იმ ავადმყოფური პროექტის იდენტურია“, – განუცხადა ჟურნალისტებს გია გაჩეჩილაძემ.

M,მწვანეების“ მიერ გაშიფრული ფარული სქემით ტყის კერძო მესაკუთრეებს არა მარტო ტყის მერქნული რესურსებით სარგებლობის, არამედ ,,მდინარეების რეფორმის“ ანალოგიურად გადაცემულ ფართობებზე ყველა არსებული რესურსით უკონტროლო სარგებლობის უფლება ენიჭებათ. ტყის მფლობელს უფლება აქვს: ტყის ფართობები იჯარით აილოს 49 წლით, გაგრძელების ექსკლუზიური უფლებით.; ისარგებლოს ტყის ფართობზე არსებული ყველა ბუნებრივი რესურსით, მათ შორის წიაღისეულის მოპოვებით, გასცეს ტერიტორიები ქვეიჯარით, აწარმოოს პირწმინდა ჭრები ბუნებრივ ტყეებში, აწარმოოს დიდი დაქანების ფერდობებზე ტყის ჭრა, რაც მეწყერსაშიშს გახდის იმ ტერიტორიას. Aადგილობრივ მოსახლეობას კი უფლება რჩება, მხოლოდ მოჭრას სათბობის შეშა მისი საფასურის გადახდით, გაყიდვის უფლების გარეშე, მოჭრას სამშენებლო მასალა მხოლოდ მისი საცხოვრებელი სახლის გასამაგრებლად. ტყის მფლობელის ნებართვის გარეშე ადგილობრივ მოსახლეობას ეკრძალება ტყეში ღამის გათევა, კარვის გაშლა, ცხენით ან სხვა ტრანსპორტით გადაადგილება, თხილამურებით სრიალი.

,,ცნობილი ფაქტია, რომ ხელისუფლება ბენდუქიძის მეთაურობით ტყეების გასხვისებას აპირებს ჩინელებზე, არაბებსა და ინდოელებზე, ქართველები კი ამათი ყმები გახდებიან. Kკატეგორიულად ვაცხადებ, ამ პროექტის განხილვაზეც კი ზედმეტია საუბარი. არსებობს ტყის კოდექსი, სპეციალისტებთან და არასამთავრობოებთან ერთად დავსხდეთ მის დასახვეწად. დარწმუნებული ვარ, ,,მწვანეებს“ ისევ მოგვიწევს ამ სიგიჟეებთან ბრძოლა და, უფლის ნებით, ალბათ მოვერევით“, – მიაჩნია გაჩეჩილაძეს.

# აშშ-ის ელჩი ოზურგეთში სამოქალაქო ჩართულობის ცენტრს გახსნის




აშშ-ის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი დღეს ოზურგეთში სამოქალაქო ჩართულობის პირველ ცენტრს გახსნის. აშშ-ს საელჩოს ინფორმაციით, ელჩი ოზურგეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ბახმაროს ეკონომიკური განვითარების გეგმას განიხილავს.

ოზურგეთის სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი ამერიკის მთავრობის დაფინანსებით იქმნება. ანალოგიური ცენტრები ქუთაისში, თელავში, გორში, ზუგდიდში, ბათუმში, ახალციხეში, რუსთავში, მარნეულსა და გურჯაანშიც ამოქმედდება.

სამოქალაქო ჩართულობის ცენტრები ადგილობრივ საზოგადოებას აქტუალური საკითხების განხილვის საშუალებას მისცემს. სამოქალაქო ჩართულობის ცენტრების შესაქმნელად ამერიკის მთავრობა 5 მილიონ დოლარს გაიღებს. პროექტს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (UშAID) ახორციელებს.

სამოქალაქო ჩართულობის თითოეულ ცენტრს ექნება ბიბლიოთეკა და ინტერნეტი. ცენტრებში იმუშავებენ პროფესიონალი თანამშრომლები, რომლებიც დაეხმარებიან პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და არჩეულ ოფიციალურ პირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზებაში, განსაკუთრებით, 2012 და 2013 წლების არჩევნების წინა თვეებში.

სამოქალაქო ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებსა და დამოუკიდებელ ჟურნალისტებს შეუძლიათ, უსასყიდლოდ გამოიყენონ ცენტრები შეხვედრების გასამართად.

აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელთა განცხადებით, ცენტრების მეშვეობით, აშშ-ის მთავრობა ეხმარება ქართველ ხალხს, უფრო აქტიურად ჩაებას საკუთარი ქვეყნის დემოკრატიის აღმშენებლობის პროცესში.

**ინტერპრესნიუსი**

# ვახტანგ მაჭავარიანი მოცარტს იდირიჟორებს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი 5 ნოემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის მუსიკას იდირიჟორებს. კლასიკური მუსიკის მოყვარულთა წინაშე წარდგებიან ცნობილი მუსიკოსები – თურქი პიანისტი ზეინეფ უჩბაშარანი და ქართველი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს წარუძღვება. მსმენელები მოისმენენ უვერტიურებს მოცარტის ოპერებიდან „დონ ჯოვანი“, „ფიგაროს ქორწინება“, „ჯადოსნური ფლეიტა“ და მეოცე საფორტეპიანო კონცერტი.

კონცერტი საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ორგანიზებით გაიმართება, კონცერტის სპონსორები კი არიან კომპანიები „ეფესი“, „ჯეოსელი“ და ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია.

– ორიგინალური პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების მაღალი საშემსრულებლო დონე ნამდვილად ქმნის 5 ნოემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეკრებილი მსმენელებისთვის დაუვიწყარი სიამოვნების მინიჭების საფუძველს. სიმბოლურია ისიც, რომ ზეინეფ უჩბაშარანის სწორედ ამ კონცერტის საშუალებით გაიცნობს ქართველი საზოგადოება. ამ პიანისტმა მუსიკის სწავლა 4 წლის ასაკში სტამბულის კონსერვატორიაში დაიწყო, რომლის შემდეგაც სწავლა განაგრძო ლისტის სახელობის მუსიკის აკადემიაში ბელა ბარტოკის მოსწავლესთან, პროფესორ კატალინ ნემესთან, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიიღო საკონცერტო არტისტის დიპლომი. ზეინეფ უჩბაშარანმა დაამთავრა აგრეთვე ფრაიბურგის მუსიკის უმაღლეს სკოლა. მას მიანიჭა ხელოვნების ოსტატისა და მუსიკალური ხელოვნების დოქტორის წოდებები.

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

# რუსეთი საქართველოს თანხმობით მსო-ს წევრი გახდება

ნათია ხურცილავა




**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თანხმობა რუსეთის ფედერაციამ 8-8-დღიანი ფიქრის შემდეგ დაადასტურა.**

**18-წლიანი ლოდინის შემდეგ რუსეთი საქართველოს თანხმობით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდება.**

**რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დათანხმებოდა შვეიცარიის კონფედერაციის შეთავაზებას.**

**რუსეთის თანხმობის შესახებ ინფორმაცია რუსული მხარის დელეგაციის ხელმძღვანელმა, მაქსიმ მედვეტკოვმა „ინტერფაქსს“ განუცხადა.**

მაქსიმ მედვეტკოვის ინფორმაციით, მხარეებს შორის ორმხრივი შეთანხმების პროექტი უკვე არსებობს, ხოლო გადამწყვეტი ამ მხრივ 2 ნოემბერს გამართული კონსულტაციები იყო.

კონსულტაციები შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა, როგორც შუამავალმა მხარემ, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებთან პირადად აწარმოა.

მიუხედავად ამისა, რუსეთს მაინც დასჭირდა რვადღიანი ტაიმ-აუტი იმისთვის, რომ მიეღო გადაწყვეტილება.

– მოხარული ვართ, რომ საქართველო მხარს უჭერს პროექტს და შეთანხმება მიღწეულია, – განაცხადა მედვეტკოვმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ შეთანხმების პროექტი ეფუძნება მათ მიერ შეთავაზებულ კონცეფციას და რუსეთის პოზიციას არ ეწინააღმდეგება.

– პროექტი შეესაბამება რეგიონში არსებულ რეალობას და არ ეწინააღმდეგება ვმო-ს წესებს, – განაცხადა მედვეტკოვმა.

მისი თქმით, დოკუმენტი სავაჭრო აუდიტის მხოლოდ დამოუკიდებელი კომპანიის მიერ წარმოებას ითვალისწინებს.

საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხზე ფუნდამენტურად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა და ამის სანაცვლოდ გარკვეულ ეკონომიკურ წინაპირობებს აყენებდა.

რამდენიმეთვიანი მოლაპარაკების შემდეგ, გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ქართული მხარე შვეიცარიის მიერ შეთავაზებულ კომპრომისულ წინადადებას დათანხმდა.

ქართული მხარის განმარტებით, ეს არის კომპრომისული შემოთავაზება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება საქართველო-რუსეთის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვარზე შემოსული ყველა ტვირთის საერთაშორისო მონიტორინგი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში არ ხდებოდა.

მონიტორინგი სპეციალური მონიტორების მიერ განხორციელდება. აგრეთვე მიღწეულია შეთანხმება ტექნოლოგიაზე, რომლის საშუალებითაც ინფორმაციის გაცვლა მოხდება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე აცხადებს, რომ ვმო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება 10 ნოემბრამდე უნდა დასრულდეს.

სერგი კაპანაძე ამ საკითხებთან დაკავშირებით ტექნიკური დეტალების დასაზუსტებლად ჟენევაში გაემგზავრა.

– რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსულმა მხარემ შვეიცარიული მხარის ის შეთავაზება მიიღო, რომელსაც საქართველო გასულ კვირას დაეთანხმა. თუ ეს მართლა ასეა, გამოდის, რომ რუსული მხარე ეთანხმება მექანიზმის შექმნას, რომლის მიხედვითაც, რუსეთ-საქართველოს შორის მოძრავ ყველა ტვირთზე ორკომპონენტიანი მონიტორინგი განხორციელდება. მონიტორინგი პირველ რიგში სავაჭრო კორიდორების დასაწყისსა და ბოლოში საერთაშორისო მონიტორების განთავსებას გულისხმობს. მეორე რიგში კი – ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის სისტემას, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, საუბარი სამი სავაჭრო კორიდორის გაკონტროლებაზეა.

– პირველი სავაჭრო კორიდორი იწყება მდინარე ფსოუდან და მთავრდება ქალაქ ზუგდიდში. შესაბამისად, მონიტორები მდინარე ფსოუზე განთავსდება და გააკონტროლებს ყველაფერს, რაც აფხაზეთში შევა. მეორე სავაჭრო კორიდორი როკის გვირაბის ჩრდილოეთით იწყება და ქალაქ გორში მთავრდება. ამ შემთხვევაშიც ყველაფერი გაკონტროლდება, რაც ამ კორიდორში იმოძრავებს. მესამე კორიდორი კი იმ ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც ლარსის გამშვები პუნქტია, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ასევე, თუკი ჟენევაში მასთან შეხვედრაზე რუსული მხარე შვეიცარიის კომპრომისული წინადადების მიღებას ოფიციალურად დაადასტურებს, მაშინ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მოსაგვარებელი მხოლოდ პროცედურული საკითხები დარჩება.

– ვგულისხმობ ტექნიკურ ასპექტებს, ხელმოწერას და ა.შ. ეს ყველაფერი კი 10 ნოემბრამდე უნდა დასრულდეს, – აღნიშნა კაპანაძემ.

მოლაპარაკებები შვეიცარიის შუამავლობით ჟენევაში მინისტრების მოადგილეების დონეზე მიმდინარეობდა.

საქართველოს პრეზიდენტი უკვე შეხვდა სერგი კაპანაძესა და თამარ კოვზირიძეს, რომლებსაც შესრულებული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

თუმცა, მთელ ამ პროცესში მნიშვნელოვანი არის ის, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ, მოინახა შესაძლებლობა, რომ რუსეთი და საქართველო რაღაცაზე შეთანხმდნენ, თუნდაც შუამავალი მხარის დახმარებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებები შეაფასა. პრეზიდენტის განმარტებით, ბოლო 18 წლის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებების მსვლელობისას ქართული მხარე სახელმწიფო ინტერესებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით მოქმედებდა.

– ბოლო 17-18 წლის განმავლობაში 1992 წლის შემდეგ გვაქვს იმ ტვირთბრუნვის მონიტორინგის, გაკონტროლების პრობლემა, რომელიც კვეთს საქართველოს საზღვრებს და მოძრაობს საქართველოს შიგნით. ჩვენ ყოველთვის გვქონდა ამ ტვირთის გაკონტროლების სურვილი უშუალოდ ან საერთაშორისო მონიტორების მეშვეობით. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია სწორედ ამას არეგულირებს და ასეთი იყო ჩვენი წინადადებაც რუსეთისადმი. ღია აგრესიის დაწყების შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს ძალიან გართულდა, მაგრამ თქვენი ერთობლივი ძალისხმევისა და მოლაპარაკებების ძალზე რთული პროცესის შედეგად. ამ პოზიციას ისევ დავუბრუნდით – საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ უნდა განხორციელდეს ყველა იმ ტვირთის მონიტორინგი, რომელიც საქართველოს მიმართულებით და საქართველოს შიგნით მოძრაობს, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ორივე მხარისთვის მოლაპარაკებების პროცესი მომგებიანად დასრულდა.

ექსპერტების უმრავლესობა პრაგმატულ მიდგომაზე საუბრობს. ამ შემთხვევაში პრაგმატული მიდგომა იყო ორივე მხრიდან.

ცნობილია, რომ საზღვარზე შვეიცარიელი მონიტორები განთავსდებიან.

და მაინც, რა მომგებიანი ნაბიჯი იყო საქართველოსთვის რუსეთისთვის თანხმობის მიცემა?

პირველი, რუსეთს, ასე თუ ისე, მოუწევს საქართველოს საზღვრების აღიარება. ასევე, როგორც ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია მიიჩნევს, ქართული მხარის თანხმობაში ყველაზე დადებითი არის ის, რომ არასაიმედო პარტნიორი ცივილიზებულ ჩარჩოებში მოექცევა.

როგორც ჯგერენაია აცხადებს, საქართველოს რუსეთთან აინტერესებდა ერთი პრინციპული საკითხი – ეს არის საზღვრების კონტროლი და ამ შემთხვევაში რუსეთს დათმობაზე მოუწია წასვლა.

ექსპერტის განცხადებით, ეს იყო ყველაზე სწორი მოთხოვნა, რადგან არასერიოზული იქნებოდა საუბარი მწვანილის ექსპორტზე და იმაზე, გვრთავდა თუ არა ნებას რუსეთი ღვინის ექსპორტზე, რადგან ეს არის ზუსტი არგუმენტი, იმიტომ რომ, როცა რუსეთი უკვე ოფიციალურად გახდება ვმო-ს წევრი, სხვა დანარჩენი პრეტენზიებიც ამ ორგანიზაციაში განიხილება.

ექსპერტი ემზარ ჯგერენაია ამ შეთანხმებაში ორ მნიშვნელოვან პროცესს გამოყოფს. მისი თქმით, პირველი ის არის, რომ მოხდება ქართული მხარის მიერ საზღვრის კონტროლი, რაც პოლიტიკურად დიდი გამარჯვებაა. მეორე – ქართული მხარე შეძლებს, რუსეთს ედავოს იმ საკითხებზე, რომლებიც მუდმივად აწუხებს და პოლიტიკური დაცვის საგანია.

– ეს შეთანხმება ცალსახად ნიშნავს, რომ საქართველოს მუდმივად აქვს პრეტენზია თავის ტერიტორიაზე და ამ პრეტენზიას ნაწილობრივ აღიარებს რუსეთი, – აცხადებს ჯგერენაია.

ის ამბობს, რომ რუსეთს ზუსტად იგივე სტანდარტების დაცვა მოუწევს, როგორც ამ ორგანიზაციაში შემავალი სხვა ქვეყნების მიმართ ექნება.

მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი, როგორც აღვნიშნეთ, ჟენევაში 9-10 ნოემბერს არის დანიშნული. ვმო-ში რუსეთის გაწევრიანების საკითხს 153 ქვეყანა მინისტერიალზე 15 დეკემბერს განიხილავს.

მიუხედავად რუსეთის თანხმობისა, შეიძლება თუ არა, რომ მოსკოვმა დადებული პირობა, როგორც არაერთხელ, ამჯერადაც დაარღვიოს და საერთაშორისო მონიტორები არ შეუშვას მდინარე ფსოუსა და როკის გვირაბთან არსებულ საზღვარზე.

„გააცურებს“ თუ არა რუსეთი საქართველოს და მათ შორის ამერიკასა და ევროპას, ამას დრო გვიჩვენებს.

# გუგა კოტეტიშვილმა სარკეები გამოფინა

ეკა ირემაშვილი



**ქართველმა დიზაინერმა გუგა კოტეტიშვილმა გალერეა „ვერნისაჟში" თავისი დიზაინით შექმნილი სარკეები გამოფინა. გუგა კოტეტიშვილის პერსონალურ გამოფენაზე სახელწოდებით „სარკეები" 20-მდე სხვადასხვა სტილში შესრულებული სარკე გამოიფინა.**

— ამ გამოფენაზე წარმოვადგინე სხვადასხვა ფორმისა და ზომის ორიგინალური სარკეები. ამბობენ, რომ ძველი სარკის ოჯახში შეტანა არ არის კარგი, რადგან მასში სხვა ადამიანებს ჩაუხედავთ და მათი სული სწორედ ამ სარკეებშია, რაც მე ნამდვილად არ მჯერა. სარკეს თავისი ენერგია აქვსო, რომ ამბობენ, არც ამის მჯერა. საერთოდ, ცრურწმენები ჩემგან საკმაოდ შორს არის. სახლში ბევრი ძველი სარკე მაქვს და მათზე მუდმივად ვმუშაობ. დამიჯერეთ, სარკეს ძალიან კარგი აურა აქვს, — განაცხადა გუგა კოტეტიშვილმა.

გალერეა „ვერნისაჟში" გუგა კოტეტიშვილის ბოლო ერთი თვის განმავლობაში შექმნილი ნამუშევარი გამოიფინა. დიზაინერი ახალი ნამუშევრების შესაქმნელად ყველაფერს იყენებს — რკინის საწოლის თავებიდან დაწყებული, ფაიფურის თეფშით დამთავრებული. გუგა კოტეტიშვილი სწორედ ძველი დეტალებით ამზადებს ახალ ჩარჩოებს სარკეებისთვის. იგი მშრალი ხიდის აქტიური სტუმარია, სადაც თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარს ყიდულობს. დიზაინერი აღიარებს, რომ თავისი მუშაობის წესი აქვს და არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება. მუშაობის დროს ის ინტუიციას ეყრდნობა, ინტერიერებს ზეპირად იგონებს, თანაც წუთში რამდენიმეს. ამას ყველგან აკეთებს — ქუჩაში, სახლში. მისი თავი სულ მუშაობს. ყველაფერს სანტიმეტრებამდე თვლის, უცებ აგებს სივრცეს. როცა მუშაობას იწყებს, რამდენიმე ვარიანტს აკეთებს, მაგრამ ხშირად ხდება ისე, რომ ბოლოს მაინც პირველს უბრუნდება. მას მიაჩნია, რომ სივრცის და იდეის პირველი შეფასება არასდროს ატყუებს.

ბევრისთვის ალბათ არც არის ცნობილი, რომ ავეჯის დამზადებამდე გუგა კოტეტიშვილი ჩანთებს კერავდა. ეს იდეა დიზაინერს მაშინ მოუვიდა, როცა თბილისის ომის შედეგად სახლი დაეწვა. ჩანთების შესაკერად გუგა კოტეტიშვილი მასალად ტყავს, ქეჩასა და ფარდაგის ნაწილებს იყენებდა, ჩანთის თავი კი ერთნაირი არასოდეს იყო — მათ დასამზადებლად დიზაინერი იყენებდა ყველაფერს — ფარდაგებს, მაქმანებს, ბრინჯაოს ნივთებს. მთლიანობაში მან 300-მდე ჩანთა შეკერა. ჩანთებს მოჰყვა სკამები, სკამებს — სავარძლები. სავარძლების ამბავი სასტუმრო „ბეტსის" მფლობელის ყურამდეც მივიდა და გუგას სასტუმროს ნომრების დიზაინი შეუკვეთეს. გუგუას სახელი ამერიკელებმაც შეიტყვეს და ასე გაჩნდა ქართულ რეალობაში დიზაინერი გუგა კოტეტიშვილი.

გუგა კოტეტიშვილის სახელს უკავშირდება რესტორან „კალას" ინტერიერიც, რომელშიც თანამედროვე და ჭეშმარიტი ქართული ინტერიერი ერთმანეთს საკმაოდ ორიგინალურად ერწყმის.

სარკეების გარდა, გუგა კოტეტიშვილი ავეჯის დიზაინითაც არის დაკავებული. ხშირად იგი ინტერიერის დიზაინზეც ზრუნავს. გუგა ბინების მოწყობაზეც არ ამბობს უარს. ომის შედეგად გადამწვარი საკუთარი სახლის ინტერიერიც თავად გადააკეთა.

სწორედ გუგა კოტეტიშვილის დიზაინით არის მოპირკეთებული ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. ხშირად ხელოვანი ძველი და ახალი ნივთების კომბინაციით ქმნის სრულიად ახლებურ ინტერიერს. ერთი შეხედვით თითქოს გამოუსადეგარი ნივთები დიზაინერის წყალობით, ორიგინალურ და რაც მთავარია, გამოსადეგარ ნივთებად იქცევა ხოლმე. დიზაინერი აღიარებს, რომ გამოფენისთვის დიდხანს არასოდეს ემზადება და ყველაფერს უცებ აკეთებს. თუმცა იდეებს საკმაოდ დიდხანს ამუშავებს გონებაში — წინასწარ ხატავს, რისი გაკეთება სურს. გუგა კოტეტიშვილი მუშაობს ყდელაფერზე — ხეზე, რკინაზე, სარკეზე. დიზაინერი არ მალავს, რომ მისი ნამუშევრებით ძირითადად მაინც უცხოელები ინტერესდებიან, რადგან საზღვარგარეთ ხელნაკეთი ნივთები გაცილების ძვირი ღირს, ვიდრე საქართველოში.

იმისათვის, რომ საინტერესო ნივთი შექმნას, გუგა კოტეტიშვილი მშრალი ხიდის აქტიური სტუმარია. ეს ადგილი თბილისში ომის შემდეგ გაიხსნა. იყო დრო, როცა რკინის კონსტრუქციებს გუგა კოტეტიშვილი თავად ადუღაბებდა, ახლა კი უკვე ხელოსნები მუშაობენ ამაზე, თუმცა დიზაინერი მათ ესკიზს ზუსტ ზომებში უხატავს.

სარკეებისთვის შექმნილი ხის ჩარჩოები დიზაინერმა თავად ამოჭრა. მის კოლექციაშია რკინის ჟანგიანი ჩარჩო, რომელზეც ბრინჯაოს ნიღაბია დამაგრებული. ეს ნიღაბი მან წლების წინ შეიძინა. გუგა კოტეტიშვილი ნამუშევრებს გამოფენებზევე ყიდის ხოლმე, თუმცა მის ნამუშევრებში არის რამდენიმე ექსპონატი, რომლის გაყიდვასაც დიზაინერი არაფრის დიდებით არ დათანხმდება. ცნობილია, რომ გუგას ნამუშევრები წლების წინ, ერევანში, სერგო ფარაჯანოვის მუზეუმში იყო გაგზავნილი, სადაც 10 წლის განმავლობაში სომხეთში ინახებოდა. მათი საქართველოში დაბრუნების შემდეგ დიზაინერს მათთან განშორება განსაკუთრებულად უჭირს და ამიტომაც არ ყიდის, ვერ ელევა.

იმისათვის, რომ ორიგინალური და უცნაური სარკეები შექმნას, გუგა კოტეტიშვილი ჩანგალსა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენებასაც არ ერიდება.

— სარკის არც გაბზარვის მეშინია და არც გატეხვის. შიგაც მშვენივრად ვიყურები. ეს ყველაფერი ცრურწმენაა და მეტი არაფერი. ჩემი სარკეები ყველა ინტერიერისთვის გამოდგება. რაც მთავარია, ამ ბოლო დროს სარკეები ინტერიერში აქტიურად გამოიყენება — კედელზე, ჭერში. სარკე ადიდებს სივრცეს, ამიტომ აუცილებელი სულაც არ არის სარკეში მხოლოდ საკუთარ თავს ხედავდეთ. რა თქმა უნდა, არის სარკეები, რომელიც ახდუნებს, სადაც ჩახედვა განსაკუთრებით უყვართ ქალებს, ან თუნდაც ლიპიან მამაკაცებს. მიმაჩნია, რომ სარკეს ადამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, — აღნიშნა გუგა კოტეტიშვილმა.

გუგა კოტეტიშვილის სარკეები გალერეა „ვერნისაჟში" 12 ნოემბრამდე დარჩება.

# პატრიარქის ნათლულთა რეგისტრაცია იწყება

ეკა ირემაშვილი

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ნათლულთა მორიგი რეგისტრაცია იწყება.**

რიგით მეოცე საჯარო ნათლობისთვის საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეში" ჩვილთა რეგისტარცია 4 ნოემბერს დაიწყება. 4, 5 და 6 ნოემბერს „ლაზარეს" ოფისში ჯვარდაწერილი ოჯახის ყოველი მესამე და მომდევნო შვილის დარეგისტირება მოხდება. შვილის მონათვლის მსურველებმა „ლაზარეში" უნდა წარადგინონ ჯვრისწერისა და ქორწინების მოწმობები, უფროსი შვილების დაბადებისა და ნათლობის მოწმობები. ასევე საოჯახო და მოსანათლი ბავშვის ფოტოები როგორც დაბჭდილი სახით, ისე დისკზე ჩაწერილი.

რიგით მე-20 საყოველთაო ნათლობის თარიღი ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მეოცე საჯარო ნათლობა ნოემბერის თვეში ჩატარდება, თუმცა იგი 23 ნოემბერს გიორგობის დღესასწაულს არ დაემთხვევა.

მის უწმინდესობას დღეისათვის 9 000-ზე მეტი ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილ ოჯახებში დაბადებული მესამე და მომდევნო შვილები არიან. თუკი პატრიარქის ანთლულის ოჯახში მომდევნო ბავშვი გაჩნდწება, ილია მეორე მზად არის მისი ნათლიაც გახდეს და პატარას ქართული ეკლესიის ტახტის მცველის ტიტული მიანიჭოს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ჩვენს ქვეყანაში ედმოგარფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განაცხადა, რომ მშობლების სურვილის შემთხვევაში იგი მათი შვილების ანთლია გახდებოდა. პირველი საჯარო ნათლობა კი 2008 წლის 19 იანვარს ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე გაიმართა.

პატარების მონათვლის პარალელურად, პატრიარქის ინიციატივით მიმდინარეობს ყოველკვირეული შეხვედრები პატრიარქის ნათლულთა მშობლებთან. სამების ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში საქველმოქმეოდო ფონდ „ძლევაის" წარმომადგენლები, რომლის ხელმძღვანელიც მამა შალვა კეკელიაა, მისი უწმინდესობის ნათლულთა მშობლებს ხვდებიან და იმ დიდ საიდუმლოზე ესაუბრებიან, რასაც ნათლობა და ნათელ-მირონობა ჰქვია.

როგორც სამშაბათს გამართულ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, პატრიარქის სურვილია, ჩამოყალიბდეს პატრიარქის ნათლულთა ფონდი, რომელიც მისი უწმინესდობის ნათლულთა გაჭირვებულ ოჯახებს დაეხმარება, ამით ილია II-ის ნათლულთა მშობლები ერთმანეთს კიდევ უფრო დაუახლოვდებიან. თუკი ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, საშუალება აქვს, გაჭირვებულთა დასახმარებლად გამოყოფილი საგნები ფონდ „ლაზარეში" მიიტანოს.

— მისმა უწმინდესობამ აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, რომ გამხდარიყო ოჯახში დაბადებული ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვის ნათლია. მსგავსი შემთხვევა ისტორიაში არ ყოფილა. ჩვენი უწმინდესობის უდიდესი თავმდაბლობით და სიყვარულით მოხდა ეს. ვინაიდან ჩვენი ერი ყველაზე მეტად განიცდის შვილთა ნაკლოვანებას, ჩვენი ქვეყნის პატრიარქმა, სწორედ ამიტომ იტვირთა ასეთი ჯვარი. პატრიარქის ნათლულთა მშობლების ყველაზე დიდი ვალი არის ის, რომ შვილები აღზარდოთ ისე, რომ იყვნენ ნათლიის მიმბაძველები, — განაცხადა მამა შალვა კეკელიამ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ თემასაც, რატომ არ უნდა შევუშალოთ ხელი შვილიერებას. ითქვა ისიც, რომ მშობლების უმეტესობას შექმნილი სოციალური ფონი აშინებთ, თუმცა მთავარი ღმერთის იმედად ყოფნაა. შეხვედრაზე ითქვა ისიც, რომ მისი უწმინედსობის ყველა ნათლულის სახელი შეტანილია სპეციალურ მოსახსენიებელში და ყოველი ღვთისმსახურებისას ყველა მათგანი მოიხსენიება. სოციალურ ქსელში „ფეისბუქი" გაკეთებულია სპეციალური გვერდი, რომელსაც „პატრიარქის ნათლულები" ეწოდება. უახლოეს მომავალში კი საგანგებო საიტიც მომზადდება, სადაც დაწვრილებითი ინფორმაცია იქნება განთავსებული.

ილია მეორის უდიდესი სურვილია, შეიქმნას ნათლულთა ფონდი, მათი მშობლების სურვილისა და ძალისხმევის შემთხვევაში კი აშენდეს ნათლულთა ტაძარი.

სამებაში შეკრებილმა პატრიარქის ნათლულთა მშობლებმა შეხვედრის დასასრულს რეჟისორ გიორგი შალუტაშვილის ფილმი „სტუმრად პატრიარქთან" ნახეს, რომლის სცენარიც თამარ ბართაიას ეკუთვნის.

როგორც სამებაში შეკრებილ პატრიარქის ნათლულთა მშობლებს განუცხადეს, მსგავსი შეხვედრები და საუბრები ყოველ სამშაბათს იმართება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.
დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.
იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.
გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრ კარკასს, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში. შესაძლებელია განვადება.
ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

## განცხადებები

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.

# „რეალი“ მერვედფინალშია, „ბაიერნი“ და „ინტერი“ — თითქმის

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კიდე ერთი მერვედფინალისტის ვინაობა გაირკვა — მადრიდის „რეალი“. მსგავსი შანსი ხელიდან კიდევ ორმა გუნდმა გაუშვა.

### ბაიერნი-ნაპოლი 3:2

**1:0, 2:0, 3:0 გომესი (17, 23, 42), 3:1, 3:2 ფერნანდესი (45, 79)**

ეს მატჩი საყოველთაო ინტერესს იწვევდა და მოლოდინიც გაამართლა — მოვლენები საინტერესოდ განვითარდა და ბოლო წუთამდე უცნობი იყო, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება. ცხადია, ფავორიტად თავიდანვე „ბაიერნი“ მიიჩნეოდა, მაგრამ მარიო გომესის ჰეთ ტრიკის შემდეგ ვერავინ იფიქრებდა, თუ მიუნხენელებს ბოლოს საქმე სანერვიულოდ გაუხდებოდა. გომესმა მე-17 წუთზე შვაინშტაიგერის პასი აქცია გოლად, ექვს წუთში კი გარჯა კროოსს დაუფასა, ხოლო 42-ე წუთზე იგივე კროოსის დარტყმულს დაამატა და ცარიელ კარში გატანით ჰეთ თრიქი გააფორმა. ტაიმის მიწურულს ფერნანდესმა თავური დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა და, მართალია, 79-ე წუთზე, მანვე სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ სტუმრები შინ მაინც უქულოდ დაბრუნდნენ.

ფერნანდესის მე-2 გოლამდე არბიტრმა მოედანი ვადაზე ადრე ორ ფეხბურთელს დაატოვებინა. 70-ე წუთზე სუნიგას რიბერის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დაატოვებინეს მოედანი, ხოლო შვიდ წუთში მარტო არ დატოვეს და გვერდით ბადშტრუბერიც ამოუყენეს.

### ვილიარეალი-სიტი 0:3

**0:1 ი. ტურე (30), 0:2 ბალოტელი (45), 0:3 ი. ტურე (71)**

„ნაპოლის“ წაგებითა და „სიტის“ მოგებით ამ ჯგუფში მე-2 ადგილისთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა.

„სიტი“ „ვილიარეალს“ ესტუმრა და შინ 3 ქულით დაბრუნდნენ. „ბაიერნის“ მსგავსად, მანჩინის შეგირდებიც 3:0 დაწინაურდნენ, მაგრამ, იმ განსხვავებით, რომ კარის მშრალად შენახვა მოახერხეს.

30-ე წუთზე იაია ტურემ სილვას პასით გახსნა ანგარიში, ტაიმის მიწურულს ბალოტელიმ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა, ხოლო 71-ე წუთზე იტალიელმა ასისტენტობა ტურეს გაუწია, რომელმაც ინდივიდუალურად კარგად ითამაშა, 2 მეტოქე იოლად ჩამოიტოვა და მეკარესთან პირისპირ გასულმა დუბლი გაიფორმა.

### ტრაბზონსპორი-ცსკა 0:0

ორივე გუნდს ჯერ კიდევ აქვს შანსი, შემდეგ ეტაპზე გააგრძელოს ბრძოლა, ამასთან, არც ის არის გამორიცხული, რომელიმე მათგანი არა მარტო ჩემპიონთა ლიგას, არამედ ევროპის ლიგასაც კი დაემშვიდობოს და ჯგუფური ეტაპი ბოლო ადგილზე დაასრულოს. ამიტომაც იყო, რომ თამაში ფრთხილი გამოვიდა და ანგარიშსაც ეტყობა.

### ინტერი-ლილი 2:1

**1:0 სამუელი (19), 2:0 მილიტო (65), 2:1 დე მელო (84)**

ზედიზედ მე-3 თამაში მოიგო მილანის „ინტერმა“ და მერვედფინალის საგზური თითქმის გაინაღდა. მატჩში ანგარიში მე-19 წუთზე ვალტერ სამუელის ზუსტი თავურის შემდეგ გაიხსნა. 65-ე წუთზე ძანეტიმ იმდენი მოახერხა, რომ მილიტოს ცარიელ კარში ბურთის გატანა არ გასჭირვებია — 2:0. მართალია, 84-ე წუთზე სეზართან პირისპირ დარჩენილმა დე მელომ შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ „ლილმა“ მეტის გაკეთება ვერ მოახერხა და, თუ არ მოუმატა, შესაძლოა, ევროტურნირის გარეშეც კი დარჩეს.

### მანჩესტერი-ოცელული 2:0

**1:0 ვალენსია (8), 2:0 რუნი (87)**

„მანჩესტერმა“ იოლი 3 ქულა კი მოიპოვა, მაგრამ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ისე ვერ ითამაშეს, როგორც ამას ელოდნენ.

ანგარიში მე-8 წუთზე გაიხსნა — მარჯვენა ფლანგზე ჯონსმა იაქტიურა, რასაც ვალენსიას მიერ ბურთის ცარიელ კარში გატანა მოჰყვა.

წერტილი შეხვედრას 87-ე წუთზე რუნის შორეულმა დარტყმამ დაუსვა, თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მანჩესტერელთა შემტევს რიკოშეტიც წაეხმარა.

### ბენფიკა-ბაზელი 1:1

**1:0 როდრიგო (4), 1:1 ჰუგელი (64)**

მერვედფინალის საგზურის განაღდების კარგი შანსი გაუშვა ხელიდან „ბენფიკამ“. პორტუგალიელებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად „ბაზელთან“ მოგება სჭირდებოდათ და ამასთან ახლოსაც იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ქულას დასჯერდნენ.

მე-4 წუთზე საჯარიმოში მყოფმა როდრიგომ ბურთი მეკარისგან შორეულ კუთხეში ერთი შეხებით, მოჭრილი დარტყმით გადაგზავნა და საკმაოდ ეფექტური გოლიც გამოუვიდა.

თუმცა, 64-ე წუთზე ჰუგელმა პორტუგალიელებს ზეიმი გადაუდოთ — 1:1.

### ლიონი-რეალი 0:2

**0:1, 0:2 რონალდუ (24, 69პ)**

მადრიდის „რეალი“ გახდა მე-3 გუნდი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თამაში ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე 2 ტურით ადრე გაინაღდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აქამდე ლიონში ჩატარებულ 4 მატჩში „რეალს“ არასდროს უმარჯვია. ახლა კი ჟოზე მოურინიოს შეგირდებმა დასაწყისშივე დიდი უპირატესობა მოიპოვეს, რაც რონალდუს მიერ გატანილ ორ გოლში აისახა.

24-ე წუთზე პორტუგალიელმა ჯარიმა აქცია გოლად, ხოლო 69-ე წუთზე — პენალტი, რომელიც თავად გამოიმუშავა.

### აიაქსი-დინამო(ზ) 4:0

**1:0 ვან დერ ვილი (20), 2:0 სულეიმანი (25), 3:0 დე იონგი (65), 4:0 ლოდეირო (90)**

„ლიონის“ მარცხით ისარგებლა „აიაქსმა“ და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე დამკვიდრდა. ჰოლანდიურმა კლუბმა საკმაოდ იოლად სძლია მეტოქეს და საქმე ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოილია, როდესაც ამსტერდამელთა უპირატესობა ვან დერ ვილმა და სულეიმანმა ორ გატანილ ბურთში გამოხატეს.

მასპინძლებს ტემპი არც მეორე ტაიმში დაუგდიათ და პარტნიორებს მხარი ამჯერად დე იონგმა და ლოდეირომ აუბეს — 4:0.

# კასანოს ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება



„რომა“-„მილანის“ მატჩის შემდეგ, ანტონიო მოულოდნელად ცუდად გახდა და სასწრაფოდ კლინიკაში გადაიყვანეს. რამდენიმე დღე უცნობი იყო, თუ რა დაემართა ფეხბურთელს.

„მილანის“ვებგვერდზე ნათქვამია, რომ კასანოს გულის პრობლემები დაუდგინდა, რის გამოც უახლოეს დღეებში ოპერაციას გაიკეთებს. ანტონიოს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მოედანზე დაბრუნებასაც აუცილებლად შეძლებს.

— ექიმებთან დეტალური საუბარი გვქონდა და ყველაფერი გავარკვიეთ. საბედნიეროდ, კასანო გაცილებით უკეთ არის, თავისუფლად ლაპარაკობს და არც გადაადგილების პრობლემა აქვს. უახლოეს დღეებში ანტონიოს ოპერაციას გაუკეთებენ და სარეაბილიტაციო პერიოდიც დაიწყება. კარგია ის, რომ სრულად გამოჯანმრთელდება, თუმცა, როდის დაუბრუნდება მოედანს, ამაზე დღეს საუბარი გაგვიჭირდება, — განაცხადა „მილანის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე მაურო ტასოტიმ.

წინასწარი პროგნოზით, მინიმუმ ოთხ თვეზეა ლაპარაკი, მაგრამ ბევრი რამე თვითონ ოპერაციაზეა დამოკიდებული. კასანოს მთელმა საფეხბურთო იტალიამ დაუჭირა მხარი, სოციალურ ქსელებზე უამრავმა ფეხბურთელმა გაამხნევა „მილანის“ ფორვარდი და მას მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

# თორნიკე შენგელია: „მოსამატებელი კიდევ ბევრი მაქვს“

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრთაგან თორნიკე შენგელია ერთ-ერთია, რომელიც მიმდინარე სეზონში უმაღლეს დონეზე თამაშობს. 20 წლის ფორვარდი ბელგიური „შარლერუას“ წევრი და ამ გუნდის წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი გარანტია. შენგელიას გუნდს საკმაოდ ძლიერ ბელგიურ ჩემპიონატსა და ევროპაში ყველაზე პრესტიჟულ ევროლიგაში უწევს თამაში და ორივე ფრონტზე საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. „შარლერუამ“ ევროლიგის გასულ ტურში ისტორიული გამარჯვება მოიპოვა თურქეთში და ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე სწორედ თორნიკე შენგელია გახდა.

შენგელიას ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

***— მიმდინარე სეზონის ყველა მატჩში სასტარტო ხუთეულში იყავით. ასე რომ იქნებოდა, თავიდანვე იყო გარკვეული?***

— არა, ჩემპიონატის დაწყებამდე არ ვიცოდი, რომ ხუთეულში სისტემატურად ვითამაშებდი. ეს, ასე ვთქვათ, გზადაგზა გაირკვა. რადგან მწვრთნელი აგრძელებს ჩემს სასტარტოში დაყენებას, ე.ი. მენდობა. ეს კიდევ უფრო დიდ სტიმულს მაძლევს და ვცდილობ, იმედები არც ერთ ეპიზოდში არ გავუცრუო.

***— ნდობას ამართლებთ, თუმცა, საინტერესოა, როგორი თვალით უყურებთ საკუთარ თამაშს — რითი ხართ კმაყოფილი და რაში გჭირდებათ მომატება?***

— არ ვთვლი, რომ რომელიმე კომპონენტში სრულყოფილად ვთამაშობ. ეს არაპროფესიონალური მიდგომაა, მით უმეტეს — ჩემს ასაკში, როცა სასწავლი და დასახვეწი ჯერაც ბევრია. საკუთარ თავზე ყოველდღიურად ვმუშაობ და ყველა სათამაშო კომპონენტში ერთნაირი მონდომებით ვვარჯიშობ.

***— დიდი ხანი არაა, რაც „შარლერუაში“ თამაშობთ. გუნდელებს როგორ შეეწყვეთ?***

— „შარლერუა“ საერთოდ გამოირჩევა მეგობრულობითა და ერთიანობით. შემადგენლობის თითქმის ნახევარი გუნდში უკვე 3-4 წელია თამაშობს და ერთმანეთთან ძალიან დაახლოებულებიც არიან. ეს გუნდი ბელგიაში ამ მხრივ სამაგალითოა და მე, ისევე, როგორც სხვა ახალწვეულები, ძალიან თბილად მიმიღეს.

***— რა მიზანი დაგისახათ გუნდის ხელმძღვანელობამ ამ სეზონში?***

— ევროლიგაში ჯგუფიდან გასვლა, ბელგიის ჩემპიონატში კი — ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება.

***— შიდაჩემპიონატში პირველ-მეორე ადგილებს „ოკაპისთან“ იყოფთ, რომელთანაც ამას წინათ შინ წააგეთ.***

— ამ მაგალითიდანაც ჩანს, რომ არც ბელგიის ჩემპიონატია ხელწამოსაკრავი. მწვრთნელმა „ოკაპისთან“ წაგებული მატჩის შემდეგ გვითხრა, რომ არც ერთ მეტოქესთან მოდუნება არ შეიძლება — ყველა გუნდს პატივი უნდა სცე და ბრძოლაში ბოლომდე უნდა დაიხარჯო.

***— საქართველოს ეროვნულ ნაკრებზეც გკითხავთ. მართალია, საკმაო დრო გავიდა, თუმცა, საინტერესოა, ამ გადმოსახედიდან როგორ აფასებთ ნაჩვენებ შედეგს.***

— ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა მთელ ქართულ სპორტულ ცხოვრებაში. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან გასვლა ძალიან სერიოზული შედეგია და მით უმეტეს — დებიუტანტი გუნდისთვის. სულ რაღაც 2 წლის წინ ბ დივიზიონში ვიყავით და ელიტაში ანაცვლებაზე ვფიქრობდით, ახლა კი კონტინენტის საუკეთესო 12 გუნდში მოვხვდით. დარწმუნებული ვარ, უფრო მეტსაც მივაღწევდით, ზაზა ფაჩულია და გიორგი ცინცაძე მეორე ეტაპზე მწყობრში რომ ყოფილიყვნენ.

***— საკუთარი თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?***

— კმაყოფილი ვარ იმ გამოცდილების მიღებით, რაც ევროპის ჩემპიონატზე ჩემი თანაგუნდელების მხარდამხარ და მეტოქეების წინააღმდეგ თამაშით მივიღე.



***— „შარლერუამ“ ევროლიგის გასულ ტურში სტამბოლში „ეფესი“ დაამარცხა. ეს იყო ამ ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობა. რა გამოხმაურება მოჰყვა ამ შედეგს ბელგიაში?***

— ჩვენი და „შარლერუას“ ქომაგების გარდა, არავინ ელოდა, რომ „ეფესს“ მისსავე მოედანზე დავამარცხებდით. საოცარი მატჩი იყო. ჩემმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, ერთად დგომითა და ბრძოლით უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მივაღწიეთ. ბელგიური საკლუბო კალათბურთისთვის ეს იყო ისტორიული გამარჯვება. არც ევროლიგაში და არც ნებისმიერ უმაღლესი დონის ტურნირში ბელგიურ გუნდს თურქეთში არ გაუმარჯვია. ამ წარმატებით „შარლერუამ“ თავისი სიტყვა თქვა და ეს როგორც თითოეული კალათბურთელისთვის, მთელი ბელგიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

***— და ამ მატჩის საუკეთესო კალათბურთელი თქვენ გახდით.***

— არა, ყველამ საუკეთესოდ ითამაშა. გამარჯვებისთვის თითოეულმა კალათბურთელმა მაქსიმუმი გავიღეთ.

***— ეგ თავისთავად, თუმცა სარგებლიანობის საუკეთესო კოეფიციენტი თქვენ გქონდათ. „შარლერუაში“ ამ სეზონიდან თამაშობთ და რამდენად კმაყოფილი ხართ საკუთარი თავით?***

— დასაწყისისთვის ცუდი არაა. სტაბილურად ვთამაშობ და ნელ-ნელა ვუმატებ კიდეც.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ნაპოლი | 3:2 |
| ვილიარეალი-სიტი | 0:3 |
| ტრაბზონი-ცსკა | 0:0 |
| ინტერი-ლილი | 2:1 |
| მანჩესტერი-ოცელული | 2:0 |
| ბენფიკა-ბაზელი | 1:1 |
| ლიონი-რეალი | 0:2 |
| აიაქსი-დინამო(ზ) | 4:0 |

**აშშ. მლს**

**პლეი–ოფი. მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| კანზასი-კოლორადო | 2:0 |
| სიეტლი-სოლტ ლეიკი | 2:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა. ულების თასი**

| | |
|---|---|
| ლაბორალი-ოლიმპიაკოსი | 81:79 |
| ზაგრები-ცსკა | 47:89 |
| მონეტპასკი-გალათასარაი | 103:77 |
| ოლიმპია-პროკომი | 70:62 |

**ხელბურთი**

**მჩ-2011. კვალიფიკაცია**

| | |
|---|---|
| იტალია-შვეიცარია | 25:27 |
| კვიპროსი-ბოსნია | 20:38 |
| თურქეთი-უკრაინა | 24:26 |
| ფინეთი-ჰოლანდია | 23:26 |
| ლუქსემბურგი-რუმინეთი | 20:35 |
| დ.ბრიტანეთი-ისრაელი | 26:29 |
| ბელგია-ლატვია | 29:36 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბაზელი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ბაგდატისი-ლამერი | 7:6;6:7;6:3 |
| ფედერერი-ნიემინენი | 6:1;4:6;6:3 |
| შტეპანეკი-ჰირალდო | 6:1;6:3 |
| როდიკი-ჰაასე | 6:3;6:4 |

**ატპ. ვალენსია. ჰარდი**

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-ტურსუნოვი | 6:4;6:1 |
| მონფილსი-ანჰარი | 6:2;7:6 |
| ლოპესი-ბოგომოლოვი | 6:4;4:6;6:7 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-ფილადელფია | 2:3 |
| ნიუ ჯერსი-ტორონტო | 3:5 |
| კოლორადო-ფინიქსი | 1:4 |

# დინამოს დილასთან დაუღამდა

გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები, რომლებსაც სენსაციის გარეშე არ ჩაუვლია. ცხადია, ყველაზე მოულოდნელი ამ ეტაპზე თბილისის „დინამოს“ გამოვარდნაა, რომელიც თასისთვის ბრძოლას გორის „დილამ“ ჩამოაშორა.

### დილა – დინამო(თბ) 0:0

ამ გუნდების პირველი მატჩი 2:2 დასრულდა და „დინამოს“ მოგება ან უხვგოლიანი ფრე აწყობდა.

დინამოელებმა ეს ამოცანა ვერ გადაჭრეს და ძნელი სათქმელია, სოლიდური ფინანსების დამხარჯავი ხელმძღვანელობა რა ზომებს მიიღებს თავისი გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელების მიმართ.

ერთია, გორში სტადიონი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია და ეს მატჩის შემდეგ ფეხბურთელებმაც აღნიშნეს.

### ტორპედო – დინამო(ბ) 1:1

**1:0 მეგრელაძე (28), 1:1 დიასამიძე (85)**

ამ სათასო შეხვედრის ბედი პრაქტიკულად პირველივე პაექრობაში გადაწყვეტილი გახლდათ, რადგან ქუთათურებმა სტუმრად, აჭარაში, ორი ბურთის სხვაობით დაამარცხეს მეტოქე. ბუნებრივია, სენსაციას ამ მატჩში ნაკლებად ელოდნენ, თუმცა ფრე სწორედ ასეთად უნდა მივიჩნიოთ.

ანგარიში თავიდანვე ქუთაისელებმა გახსნეს და თავიანთი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს, მაგრამ ახალგაზრდულმა ბათუმურმა გუნდმა მაინც ბოლომდე იბრძოლა და დიასამიძის გოლით, მართალია, არაფრისმომცემ, მაგრამ სენსაციურ ფრეს გამორჩა.

### ვიტ ჯორჯია – ქიათურა 2:0

**1:0, 2:0 ჩიმაკაძე (7,11)**

ვეტერინარებს პირველი მატჩი სტუმრად 3:2 ჰქონდათ მოგებული და საპასუხო მატჩშიც მალევე მოითავა საქმე: ბესიკ ჩიმაკაძემ ჯერ გიორგი კორიფაძის პასით იხეირა, მერე კი გურამ გურეშიძის ჩაწოდებულზე გაიტანა. ამის შემდეგ ვეტერინარები ბურთს მშვიდად აგორებდნენ და შეხვედრაც ლოგიკური დასასრულისკენ მიიყვანეს.

### სიონი – ბაია 1:2

**1:0 ოქროპირიძე (60), 1:1 ლომია (61), 1:2 აფაქიძე (70)**

ბოლნისელებმა რამდენიმე დღის წინ „ბაიას“ ჩემპიონატის მატჩი მოუგეს და ახლა იმავეს გაკეთებას თასზე აპირებდნენ, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. მართალია, მასპინძლები ოქროპირიძის თავური დარტყმის შემდეგ დაწინაურდნენ, მაგრამ მათი ზეიმი მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა — თავი ზუგდიდელმა შოთა ლომიამ გამოიჩინა. რადგან პირველი მატჩი „ბაიას“ 3:0 ჰქონდა მოგებული, ინტრიგაც სწორედ აქ მოკვდა, თუმცა სტუმრები ამას არ დასჯერდნენ და 70-ე წუთზე ნიკა აფაქიძემ საბოლოო შედეგი დააფიქსირა — 1:2.

### მეტალურგი – ჩიხურა 2:0

**1:0 კვარაცხელია (38), 2:0 მოდებაძე (86პ)**

გასულ სეზონში თასის მერვედფინალიდან რუსთაველები სწორედ „ჩიხურამ“ გამოთიშა და ამჯერად ქვემოქართლელებმა რევანში სრულად აიღეს. საჩხერეში ჩატარებული პირველი თამაში 1:1 დასრულდა და „მეტალურგს“ ნულოვანი ფრეც აწყობდა. თუმცა, მასპინძლებმა თავიანთი გულშემატკივრების წინაშე ბოლომდე ითამაშეს და მეტოქე 2:0 დაამარცხეს. წაგების მიუხედავად, იმის თქმა არ შეიძლება, რომ საჩხერელები ორი ტაიმი დაცვაში „იჯდნენ“ და მეტოქის კარისკენ არ გაუხედავთ. „ჩიხურას“, როგორც კი საშუალება ეძლეოდა, მასპინძელთა კარს ემუქრებოდა და რამდენიმე ეპიზოდში გრიგოლ ბედიაშვილს საიმედოდ რომ არ ეთამაშა, რუსთაველები, ალბათ, გოლის გაშვებას ვერ გადაურჩებოდნენ.

ასეა თუ ისე, რუსთაველებმა ამოცანა გადაჭრეს და თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს. ჯერ თავი გივი კვარაცხელიამ გამოიჩინა, ხოლო მეორე ტაიმში ირაკლი მოდებაძემ პენალტით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 2:0.

### სპარტაკი – მერანი 1:1

**0:1 სამადაშვილი (62), 1:1 მეტრეველი (76)**

სტუმრებს პირველი მატჩი 2:0 ჰქონდათ მოგებული და ეს დიდ უპირატესობას აძლევდა მათ. ამასთან, „სპარტაკს“ ჩემპიონატში უფრო აქვს ყურადღება გადატანილი და თასიდან გამოვარდნა მათთვის მაინცდამაინც სანერვიულო არ უნდა იყოს.

ანგარიში მარტვილელმა გურამ სამადაშვილმა გახსნა, რომელიც მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ზვიად მეტრეველმა გაქვითა.

### გაგრა – სულორი 4:0

**1:0 ხოჯაშვილი (26), 2:0 შარიქაძე (54), 3:0 ჯერემია (70), 4:0 კვანტალიანი (90)**

„გაგრასა“ და ვანის „სულორს“ შორის დავით ყიფიანის თასის პირველი შეხვედრა გაგრელებმა სტუმრად 2:1 მოიგეს და განმეორებითი მატჩის წინ სერიოზული უპირატესობაც ჰქონდათ. შარშანდელმა თასის მფლობელებმა ეს უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს და მეტოქე 4:0 დაამარცხეს. პირველ ტაიმში თავი ხოჯაშვილმა გამოიჩინა, შესვენების შემდეგ კი შარიქაძის, ჯერემიასა და კვანტალიანის რიგი დადგა.

### კოლხეთი – ზესტაფონი 0:0

იმერლებს პირველი მატჩი 2:1 ჰქონდათ მოგებული და საქმის ბოლომდე მიყვანა არ უნდა გასჭირვებოდათ. ეს ასე კი მოხდა, მაგრამ, თვითმხილველთა თქმით, ლანჩხუთში, სადაც ეს მატჩი ჩატარდა, თამაში შეუძლებელი იყო. სტადიონის მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, არ იყო საკმარისი ბურთებისა და მისი მიმწოდებელი ბიჭუნების რაოდენობა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

შედით საიტზე atb.ge

# ვახტანგ მაჭავარიანი მოცარტს იდირიჟორებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

პიანისტს გადაეცა ლისტის ამერიკული საზოგადოების ჯილდო, მან გაიმარჯვა ლოს ანჯელესში გამართულ ლისტის სახელობის კონკურსებში, დასახელდა „2003 წლის გამორჩეულ ქალბატონად“ ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზაციის „ათათურქის ქალიშვილების“ მიერ. პიანისტს გამართული აქვს სოლო და კამერული კონცერტები თურქეთში, ეგვიპტეში, ესტონეთში, უნგრეთში, ლიტვაში, გერმანიაში, ინგლისში, დანიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, სლოვენიაში, ბრაზილიაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2004 წელს შედგა პიანისტის დებიუტი უიგმორჰოლში. ამავე წელს მან გამოუშვა კრიტიკის მიერ დადებითად რეცენზირებული კომპაქტ-დისკები, რომლებზეც აღბეჭდილია ლისტის, შუბერტის, მოცარტის, სკარლატის, ბეთჰოვენის, აგრეთვე XX საუკუნის კომპოზიტორების – სეიგანის, ბერნსტაინის და მუჩინსკის მუსიკა. ახლახან ეროიკას კლასიკური ჩანაწერების სერიით გამოიცა პიანისტის კომპაქტდისკები, რომლებიც მოიცავს ზეინეფ უჩბაშარანის მიერ ინტერპრეტირებულ შოპენის სკერცოებსა და პოლონეზებს, მოცარტის ყველა საფორტეპიანო სონატას. ნაქსოს ინტერნეიშენელმა გამოსცა პიანისტის მიერ შესრულებული ადნან სეიგანის საფორტეპიანო მუსიკა, აგრეთვე ამავე კომპოზიტორის კონცერტი 2 ფორტეპიანოსთვის შესრულებული პიანისტ გალოსთან ერთად. ახლახან ზეინეფ უჩბაშარანმა ჩაწერა მუსიკა სამი ფორტეპიანოსათვის, რომელშიც შევიდა საიგუნის „პოემა“, ამერიკელი, ესპანელი, ბრაზილიელი და აგრეთვე სხვადასხვა თურქი კომპოზიტორების ახალი ქმნილებების პირველი ჩანაწერები. ეს ნაწარმოებები საგანგებოდ სწორედ ამ უნიკალური პროექტისთვის შეიქმნა. პიანისტმა გასული წლის სტამბულის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე შეასრულა შოპენის ყველა სკერცო და პოლონეზი. წელს პიანისტი მონაწილეობდა კოსტერის ფესტივალზე შვედეთში ვიოლონჩელისტ რასტენთან ერთად. ამავე წლის ზაფხულში ლექციები ჩაატარა პრესხოვემის მუსიკალურ სკოლაში, აგრეთვე მონაწილეობდა კორდოვას ფესტივალზე ესპანეთში. პიანისტს 2011-2012 წლების მუსიკალური სეზონისთვის დაგეგმილი აქვს არაერთი სოლო და კამერული მუსიკის კონცერტი ევროპასა და აშშ-ში. ამჯერად კი თბილისს ესტუმრება და ჩვენი საზოგადოებისთვის დაუკრავს, – განაცხადა ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშვილმა.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს ვახტანგ მაჭავარიანი უდირიჟორებს, რომელიც უკვე დიპლომირებული პიანისტია. იგი სადირიჟორო ხელოვნებას თბილისის კონსერვატორიაში დიმიტრიადის, მოსკოვის კონსერვატორიაში კი როჟდესტვენსკის ხელმძღვანელობით დაეუფლა.




– ვახტანგ მაჩავარიანი ქართველი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. მან დაამთავრა ვენის სამუსიკო აკადემია ოსტერრაიჰერის ხელმძღვანელობით. იმავე პერიოდში გაიარა სტაჟირება თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს დირიჟორთან, ვენის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელთან, ლორინ მააზელთან. ეს უკანასკნელი თავის სარეკომენდაციო წერილში წერდა: „მას შემდეგ, რაც ვახტანგ მაჭავარიანმა უდირიჟორა ვენის ფილარმონიის ორკესტრს, შემიძლია განვაცხადო, რომ მას გააჩნია სადირიჟორო ნიჭი და იმსახურებს დიდ მხარდაჭერას“. ვენაში სწავლის დასრულების შემდეგ ვახტანგ მაჭავარიანი მიიწვიეს სანკტ-პეტერებურგის მარიას თეატრის დირიჟორად. ქართველი მაესტრო დირიჟორობდა სხვადასხვა სპექტაკლებს და ღონისძიებებს რუსეთის, ლატვიის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთის საოპერო თეატრებში. 1990 წელს მან დააარსა და რუსეთის წამყვანი ორკესტრების მუსიკოსებით დააკომპლექტა საბჭოთა საფესტივალო ორკესტრი (მოგვიანებით მოსკოვის საფესტივალო ორკესტრი), რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორიც იყო 2000 წლამდე. ვახტანგ მაჭავარიანი საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელიც იყო და მთავარი დირიჟორიც. ორკესტრთან ერთად მან გამართა კონცერტი ჰოლანდიაში – ამსტერდამის „კონცერტგებაუში“ და გერმანიაში. მისი ინიციატივით თბილისში მსმენელის წინაშე წარდგა ბონის ფილარმონიის გუნდი, ცნობილი მევიოლინე ივრი გიტლისი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი დირიჟორი კენტ ნაგანო. მოგვიანებით ნაგანომ ასეთი წერილი მისწერა ვახტანგ მაჭავარიანს: „ძვირფასო, ვახტანგ, თქვენმა ორკესტრმა ბრწყინვალედ შეასრულა მალერის №7 სიმფონია. ეს იყო სიყვარულით, აღმაფრენით და თავდადებით სავსე შესრულება, რაც იშვიათი მოვლენაა. ცხადია, რომ ეს არის თქვენი ხელმძღვანელობის და თქვენი ღრმა მუსიკალური ზეგავლენის ანარეკლი. თქვენ შეძელით განსაკუთრებული მუსიკალური ტრადიციის შექმნა საქართველოში“. 2000 წელს ვახტანგ მაჭავარიანი რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის „მილენიუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა. ამჟამად ვახტანგ მაჭავარიანი თანამშრომლობს 80-ზე მეტ ორკესტრთან – ლონდონის სამეფო ფილარმონიის, მანჩესტერის, შტუტგარტის სახელმწიფო, ბელგიის ნაციონალური, გერმანიის წამყვანი ორკესტრები, საფრანგეთის ნაციონალური ორკესტრი, სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის ფილარმონიული ორკესტრები. ვახტანგ მაჭავარიანს კონცერტები გამართული აქვს გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრიაში იტალიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, ისრაელში, დანიაში, თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, კორეაში, სინგაპურში, ტაივანში. მაესტროს დირიჟორობით განხორციელდა ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებების პრემიერები – „ვეფხისტყაოსანი“, სიმფონიები №3, 4, 5, 6, 7, სიმფონიური სუიტა „ჰამლეტი“, ოპერა „ჰამლეტის“ პირველი მოქმედების შესრულება ნაწყვეტების სახით, ბალეტი „ჭირვეულის მორჯულება“, ოპერა „მედეას“ საკონცერტო შესრულება, კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის, სხვადასხვა კამერული ნაწარმოებები. ფირმა „მელოდიასთან“ თანამშრომლობით ჩაწერილია ალექსი მაჭავარიანის რიგი თხზულებები. ვახტანგ მაჭავარიანის სახელს უკავშირდება თბილისში მრავალი ნაწარმოების საპრემიერო დადგმა და შესრულება, მათ შორის, ვერდის „ფალსტაფი“, ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“, ბარტოკის „ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლე“, რიჰარდ შტრაუსის „ასე ამბობდა ზარატუსტრა“, „სიკვდილი და გასხივოსნება“, „ოთხი უკანასკნელი სიმღერა“, მალერის სიმფონიები №5 და №7 და ციკლი ვ. რიუკერტის სიტყვებზე, ბრამსის „გერმანული რეკვიემი“, ბრიტენის „ფედრა“, უოლტონის სიმფონია №2, ნეინის სიმფონიები №3 და №4, იოჰან შტრაუსის მთელი რიგი ნაწარმოებები. სულ ახლახან, გამოიცა სამი კომპაქტ-დისკი, რომლებზეც ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით სხვადასხვა ორკესტრების შესრულებით ჟღერს ბეთჰოვენის, ბერლიოზის, მალერის, რაველის, რახმანინოვის, სტრავინსკის, ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებები, – აღნიშნა ზურაბ ოიკაშვილმა.

# არაბულ სამყაროში ისლამისტებს ელიან

არაბულ სამყაროში მასობრივი გამოსვლების გამო ზოგიერთი დასავლელი და რუსი ექსპერტი შიშობს, რომ ამ სახელმწიფოებში რადიკალური ისლამის მიმდევრები მოვლენ. მოსალოდნელია თუ არა ეს რეალურად?

დამკვირვებლების მთავარი ყურადღება დღეს ტუნისიკენ არის მიპყრობილი, სადაც თანამედროვე ისტორიაში პირველ დემოკრატიულ არჩევნებზე ისლამურმა პარტია „ან-ნაჰდამ“ გაიმარჯვა.

თუმცა, ფუნდამენტური ისლამის სპეციალისტების უმრავლესობა მოძრაობა „ან-ნაჰდასა“ (რაც ითარგმნება როგორც „აღორძინება“) და ე.წ. ჯიჰადისტურ მოძრაობებს შორის დიდ განსხვავებას ხედავს.

მართლაც, ტუნისის დამხობილი პრეზიდენტ ბენ ალის დროს მოძრაობა „ან-ნაჰდა“ აკრძალული იყო (ისევე როგორც „ძმები მუსულმანები“ ეგვიპტეში). მაგრამ თამამემამულეების და ერთმორწმუნეების უმეტესობაში ეს პარტია არანაირ შეშფოთებას არ იწვევს.

გაზეთ „ვრემია ნოვოსტეის“ საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელის, ელენა სუპონინას აზრით, საკმაოდ გავრცელებული შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ არაბული სამყაროს გარეთ ბევრს ეჩვენება, რომ ტუნისი ადრე სრულიად სამოქალაქო სახელმწიფო იყო.

რეალურად, ექსპერტის აზრით, პროვინციაში რელიგიური განწყობები ყოველთვის ძლიერი იყო. თუმცა, ბევრ სხვა არაბულ ქვეყანასთან შედარებით, ტუნისი საკმაოდ განვითარებული ქვეყანაა და შესაძლოა ამიტომაც, აქ რევოლუციამ შედარებით მშვიდად ჩაიარა.

თუმცა, ტუნისში უფრო რადიკალური ისლამისტებიც არიან, ვიდრე მოძრაობა „ან-ნაჰდაა“; მათ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

ექსპერტები თვლიან, რომ საფრთხე სწორედ ამაში მდგომარეობს, რადგან შეუძლებელია გამოირიცხოს, რომ ამ ადამიანებმა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტადÉშეიძლება ძალადობრივ ისლამიზაციას მიმართონ.

ამასთან, მაგალითად ტუნისში ყველა ქალი არ ფიქრობს, რომ ხელისუფლებაში ისლამისტების მოსვლის შემთხვევაში მათი უფლებები შეილახება.

ცნობილმა ტუნისელმა პროფესორმა აიშა კურშიდმა, რომელიც ქალების უფლებებს იცავს, ამას წინათ ყატარში კონფერენციაზე განაცხადა, რომ სწორედ პარტია „ან-ნაჰდას“ აქვს შანსი, არ დაუშვას ტუნისის მკაცრი რელიგიური მმართველობისკენ მოძრაობა.

ტუნისისგან განსხვავებით, ეგვიპტეში საპარლამენტო არჩევნები ჯერ არ ყოფილა. ჰოსნი მუბარაქის გადაყენების შემდეგ, ქვეყანაში ხელისუფლებას ასე თუ ისე სამხედროები ინარჩუნებენ. ვერავინ იძლევა გარანტიებს, რომ რომელიმე მათგანი, უარესისკენ სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში ხელისუფლებას ხელში არ ჩაიგდებს.

ცოტა ხნის წინ ეგვიპტეში ადგილობრივი ქრისტიანი-კოპტების გამოსვლა იყო, რომლის შედეგადაც ადამიანები დაიღუპნენ.

სხვა საქმეა, რომ დღესდღეობით ეგვიპტელ სამხედროებს შორის საკმარისად ქარიზმატული ლიდერი არ არის.

ეგვიპტის უმაღლესი სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელი ჰუსეინ ტანტავი დამსახურებული ადამიანია, მაგრამ ახალგაზრდა არ არის. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის ხელისუფლებისკენ განსაკუთრებით არ ილტვის.

სამხედროებმა თავისი საქმე გააკეთეს, ქვეყანა სამოქალაქო კონფლიქტისგან იხსნეს, ხალხიც მოწოდებულია, რომ სამხედროები თავიანთი უშალო საქმით დაკავდნენ და ქვეყნის საგარეო უსაფრთხოება უზრუნველყონ.

რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება, რომ სამხედროებიდან ვინმე რაღაც ინციდენტით ისარგებლებს და ჩვეული მეთოდებით წესრიგის დამყარებას მოინდომებს.

თუმცა, ეგვიპტე მსგავს სცენარებს უკვე იმდენჯერ შეეჯახა, რომ მოსახლეობის უმეტესობას ეს ყელში ამოუვიდა.

ელენა სპონინას აზრით, ძნელია წარმოვიდგინოთ როგორი უფსკრულის წინაშე უნდა დაგეს ეგვიპტე, რომ ადამიანებმა თვითონვე მოინდომონ ძლიერი ხელისუფლება და რკინის მუშტი.

ნებისმიერ შემთხვევაში ჩანს, რომ ეგვიპტის არჩევნები აბსოლუტურად დემოკრატიული იქნება. ხოლო სამხედროები არ აპირებენ, რომ ხალხს ნების გამოვლენაში

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი
### 4 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **კურო** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** – არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **კირჩხიბი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** – არ აჩქარდეთ ,მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – არ ღირს გარისკვა, ჩვეულ საქმეს მიუბრუნდით. **მშვილდოსანი** – ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, ჩვეულებრივი ტემპი განაგრძეთ. **თხის რქა** – საღამოს დაჯილდოვდებით, გახარებული ხართ. **მერწყული** – მომავალს ოპტიმისტურად უყურეთ, ყველაფერი კარგად არის. **თევზები** – პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, მთავარია არ მოდუნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იმორჩილებთ თუ არა საკუთარ თავს




***1. თუ უყვებით სხვებს თქვენს პრობლემებს?***

ა. არა, ბ. დიახ, გ. ხანდახან.

***2. რამდენად ძლიერ განიცდით პრობლემებს?***

ა. ყოველთვის მძიმედ, ბ. ცდილობთ აიტანოთ, გ. გარემოებებს გააჩნია.

***3. სასმელს თუ სვამთ, იმიტომ, რომ:***

ა. არ სვამთ, ბ. მოგწონთ, გ. თქვენი პრობლემები ჩაახშოთ.

***4. როდესაც ახლობელი ადამიანი წყენას გაყენებთ:***

ა. ახსნა-განმარტებას მოითხოვთ, ბ. საკუთარ ნაჭუჭში იკეტებით, გ. ყველას უყვებით, ვისაც მოსასმენად სცალია.

***5. როდესაც ბედნიერად გრძნობთ თავს:***

ა. არ ფიქრობთ გადატანილ უბედურებაზე, ბ. შიშობთ, ეს წუთი სწრაფად გაივლის, გ. არ გავიწყდებათ, რომ ამქვეყნად პრობლემებიც არსებობს.

***6. რას ფიქრობთ ფსიქიატრების შესახებ:***

ა. შეუძლია თავად დაეხმაროს საკუთარ თავს, ბ. არ ისურვებდით მათ პაციენტად გახდომას, გ. მრავალ ადამიანს ეხმარებიან.

***7. თქვენი აზრით, ბედი:***

ა. მდევარია, ბ. არ გწყალობთ, გ. გწყალობთ.

***8. რას ფიქრობთ საყვარელ ადამიანთან კამათის შემდეგ, როდესაც ბრაზი გადაგივლით ხოლმე?***

ა. იმაზე, რისი ატანაც მასთან მოგიხდათ, ბ. შურისძიებისთვის ემზადებით, გ. იმ სასიამოვნოზე, რაც წარსულში გქონდათ.

**პასუხები ასე შეაფასეთ:**

**ა. – 1; ბ – 2; გ – 3.**

***8-13 ქულა:*** თქვენ ჯერ ვერ ისწავლეთ პრობლემების წამოჭრისას საკუთარი თავის დამორჩილება. ამჯობინებთ, საკუთარ თავში ჩაიკეტოთ. ზოგჯერ საკუთარი თავი გენანებათ.

***14-18 ქულა***: ხდება ხოლმე, რომ ხანდახან თავბედს იწყევლით, მაგრამ მაინც გაქვთ თქვენი პრობლემების „გადმოფრქვევის“ შესაძლებლობა და მაშინვე მშვიდდებით. მაინც დაფიქრდით, იქნებ ღირდეს, უფრო დაიმორჩილოთ თავი.

***19-24 ქულა***: ადვილად ურიგდებით პრობლემებს, უბედურებასაც კი, რადგან სწორად აფასებთ მათ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საკუთარი თავი არ გეცოდებათ. თქვენი სულიერი წონასწორობა აღტაცებას იმსახურებს.

გ. თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე, მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. მომავლის რწმენა; 5. ბუნებრივი მინერალური სალბავი, ჟანგმიწა; 6. ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკესადმი; 13. მაკლერის გასამრჯელო სავაჭრო გარიგებაში; 14. კბილების დაავადება; 15. ყოველდღიური გაზეთი ავსტრალიაში; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად**: 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული, კათოლიკური ეკლესიის სასამართლო, დამსჯელი ორგანიზაცია მე-13-19 საუკუნეებში; 4. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მე-10 საუკუნეში; 7. პრივილეგირებული მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 9. რუსეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 10. ლატვიის პარლამენტი; 12. მონასტერი კახეთში; 16. ძველბერძენი ისტორიკოსი; 17. მოიერიშე ამერიკული სამხედრო ვერტმფრენების სერია; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სქელი, ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 21. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 22. მოწინააღმდეგე კამათში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. საყდარი; 2. კორომი; 3. ფოლკნერი; 4. რეფერატი; 7. მარგალიტი; 8. ბუდეშური; 12. ნიშადური; 14. კადილაკი; 16. პენალტი; 17. ღირსება; 19. ცემი; 20. ვანი.

**თარაზულად:** 5. ვაპორეტო; 6. ოჩოპინტრე; 9. საჰარა; 10. მითანა; 11. ოდესა; 13. ნიყვი; 15. ბაიერი; 18. სესხი; 21. პარასკევი; 22. ლებარდე; 23. მიამიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტიგელი; 2. ლოკალი; 3. რანდი; 5. ბობი; 6. ჩუვაჩი; 8. პიარნუ; 11. პეტრიწონი; 13. დიაფანი; 14. ტამპერე; 15. ბაობაბი; 19. „გოია“.

**თარაზულად:** 1. ტრაფალგარი; 4. დამბაჩა; 7. „გერნიკა“; 9. დარიალი; 10. „ოპელი“; 12. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. ლაზიერი; 18. სპილბერგი; 20. ნექტარი; 21. ბიტი; 22. „მირზაანი“.

# რუსეთი „სიკვდილით მოვაჭრე" ბუტის დაბრუნებას შეეცდება




რუსეთის საგარეო უწყება აშშ-ს ხელისუფალნი ვიქტორ ბუტის საქმეში, სასამართლოზე პოლიტიკურ ზეწოლაში დაადანაშაულა. როგორც სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, მოსკოვი ნიუ-იორკის სასამართლო გადაწყვეტილებას ეჭვქვეშ აყენებს.

— ვიქტორ ბუტის საქმის გარშემო, აშშ-ს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების ჩაწოდებით, მიზანმიმართულად ნეგატიური ფონი ღვივდებოდა, რაც ფაქტების ობიექტურ განხილვას ეწინააღმდეგებოდა, — ნათქვამია უწყების განცხადებაში.

რუსეთის „საგარეო უწყება" პირობას დებს, რომ თავისი მოქალაქის სამშობლოში დაბრუნებას მცდელობას გააგრძელებს.

ნიუ-იორკის მსაჯულთა სასამართლომ რუსეთის მოქალაქე დამნაშავედ ცნო იმ დაჯგუფებებისთვის იარაღის მიყიდვაში, რომლებსაც აშშ ოფიციალურად ტერორისტებად მოიხსენიებს. ამერიკული პრესა მას, არც მეტი არც ნაკლები, „სიკვდილით მოვაჭრეს" უწოდებს.

ვიქტორ ბუტი ამერიკულმა სპეცსამსახურებმა 2008 წელს ტაილანდში დააკავეს და აშშ-ში ექსტრადაცია მოახდინეს.

ის ოთხივე პუნქტში დამნაშავედ აღიარეს. მათ შორის ამერიკის მოქალაქეების მკვლელობების დაგეგმვაში და საზენიტო რაკეტების გაყიდვის მცდელობაში.

მოსამართლეებმა განაჩენის გამოცხადება 2012 წლის 8 თებერვლისთვის დანიშნეს: ბუტს 25 წელი ან სამუდამო მსჯავრი ემუქრება.

ნაცრისფერ კოსტიუმში და თეთრ ხალათში გამოწყობული ბუტი, ვერდიქტის გამოცხადებისას დათრგუნულად გამოიყურებოდა.

მისმა დაცვამ დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ განაჩენის აპელაციაზე შეტანას აპირებს.

— ეს პროცესის დასასრული არ არის. ჩვენ აპელაციაზე წარვადგენთ. გვჯერა, რომ ეს დასასრული არ არის. ჩვენ შანსები ჯერ კიდევ გვაქვს, — აცხადებს ადვოკატი ალბერტ დაიანი.

ბუტის მეუღლემ ალამ „ფრანს პრესთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი მეუღლე პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლია.

— არ ვფიქრობ, რომ აქ რაიმე სამართლიანობაზეა საუბარი. ამას ამერიკული ნაციონალიზმის გამოვლინებას დავარქმევდი, — განაცხადა ალა ბუტმა.

მსაჯულთა გადაწყვეტილების კომენტირებისას ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ „ამ დღეს შედგა სამართლიანობა და ძალიან სახიფათო ადამიანი გისოსებს მიღმა იქნა მოთავსებული".

— ტერორისტებისთვის იარაღის მიყიდვის მცდელობის გამო, ის მთელი ცხოვრების გისოსებს მიღმა გატარების წინაშე დგას. ეს ტერორისტები კი ამერიკის მოქალაქეების მკვლელობას გეგმავდნენ, — აცხადებს აშშ-ს გენერალური პროკურორი ერიკ ჰოლდერი.

საერთაშორისო უფლებადამცველი ჯგუფები მსაჯულთა საბრალდებო ვერდიქტს ასევე მიესალმნენ.

— კარგი დღეა: მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა იარაღით მოვაჭრემ კარიერა დაასრულა, — განაცხადა „ოქსფამ ინტერნეიშნელის" წარმომადგენელმა ოსტენ ტორსენმა.

— მიუხედავად ამისა, სამწუხაროა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ დღემდე არ გვაქვს გლობალური დოკუმენტი, რომელიც იარაღით მოვაჭრეების მოღვაწეობას დაარეგულირებს. ბევრი სხვა უპრინციპო საქმოსანი მოღვაწეობას აგრძელებს, — დაამატა მან.

ვიქტორ ბუტის სასამართლო პროცესი, ამერიკული სპეცსამსახურების მიერ გატარებული რთული სპეცოპერაციის კულმინაცია იყო.

აგენტები ბუტს ბანგკოკში 2008 წელს შეხვდნენ. მათ თავი კოლუმბიური დაჯგუფება „ფარკის" მაღალი დონის წარმომადგენლებად გაასაღეს. აშშ-ში ამ დაჯგუფებას ტერორისტულად მიიჩნევენ. მათ განაცხადეს, რომ იარაღის შესყიდვა უნდოდათ.

ბრალდების პოზიციის თანახმად, ამერიკელმა აგენტებმა ბუტს აშკარად გააგებინეს, რომ ამ იარაღს აშშ-ს არმიის სამხედროებზე თავდასხმისთვის გამოიყენებდნენ. ეს სამხედროები კოლუმბიის მთავრობას ეხმარებიან.

მოგვიანებით, საკუთარი უდანაშაულობაზე საუბრისას ვიქტორ ბუტი ამტკიცებდა, რომ სურდა არა იარაღის, არამედ თვითმფრინავების გაყიდვა და აგრძელებდა საუბრებს იარაღის გაყიდვაზე, რათა მისი აზრით, პოტენციური კლიენტები არ დაეფრთხო.

ალა ბუტი დარწმუნებულია, რომ მეუღლის ერთადერთი შანსი, აშშ-ში სასჯელის მოხდა აიცილოს, — საქმეში რუსეთის სახელმწიფო დონეზე, უშუალო ჩარევაა. *(ბი-ბი-სი)*

# ბრიტანეთი ირანზე სამხედრო თავდასხმას ამზადებს

დიდი ბრიტანეთი სამხედრო ოპერაციას ამზადებს იმ შემთხვევისთვის, თუ აშშ და მისი მოკავშირეები ირანის ბირთვულ ობიექტებს სარაკეტო დარტყმებს მიაყენებენ. ამის შესახებ ბრიტანული „გარდიანი" იტყობინება.



— ბრიტანული შეიარაღებული ძალები შესაბამის გეგმებს უკვე ამზადებენ. ეს ირანზე პოტენციური სამხედრო დარტყმის შემთხვევაში განხორციელდება. ეს ხდება მზარდი შეშფოთების ფონზე, როდესაც თეირანი ურანის გამდიდრების პროგრამას ახორციელებს, — წერს გამოცემა ბრიტანულ სამთავრობო წყაროზე დაყრდნობით.

აშშ და მისი მოკავშირეები თვლიან, რომ ირანის ბირთვული პროგრამა ბირთვული იარაღის მიღებისკენ არის მიმართული. ვაშინგტონი ამის დაშვებას არ აპირებს. ირანი ამტკიცებს, რომ მის ატომურ პროგრამას მხოლოდ სამშვიდობო მიზნები აქვს.

„გარდიანი" კი იუწყება, რომ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროშიEშექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც სამხედრო ოპერაციის გეგმაზე მუშაობს.

ეს გეგმა ირანის წყლების სიახლოვეს ბრიტანული სამხედრო ხომალდების და წყალქვეშა ნავების განთავსებასაც მოიცავს. ისინი „ტომაჰავკის" ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილნი იქნებიან. ასევე გათვალისწინებულია ავიაციის გამოყენება.

ირანში სახმელეთი შეჭრაEგათვალისწინებული არ არის, თუმცა ირანის ტერიტორიაზე სპეცდანიშნულების რაზმების გამოყენებას არ გამორიცხავენ.

როგორც „გარდიანი" წერს, აშშ-ს სპეცსამსახურებმა და მოკავშირეებმა მიიღეს მონაცემები იმის შესახებ, რომ თითქოსდა ირანმა იზოლირებულ მიწისქვეშა ბუნკერებში ურანის გამდიდრებისთვის თავისი ცენტრიფუგების გადაყვანა დაიწყო. ისინი ქალაქ ყუმის რაიონში მდებარე სამხედრო ბაზაზე, მთების საფარქვეშ არიან განთავსებულნი.

დასავლელი ექსპერტების შეფასებებით, წლის განმავლობაში ყველა ირანული ცენტრიფუგი ამ ბუნკერებში აღმოჩნდება და ამის შემდეგ მათი სარაკეტო დარტყმებით განადგურება შეუძლებელი იქნება.

გამდიდრებული ურანი შეიძლება ატომური იარაღის შესაქმნელად გამოიყენონ.

— 12 თვის შემდეგ დარწმუნებულნი აღარ ვიქნებით, რომ ჩვენი რაკეტები მათ მიაღწევენ, — აცხადებს ბრიტანული მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც ირანული ცენტრიფუგები აქვს მხედველობაში.

— ისრაელმა ვაშინგტონი გააფრთხილა, რომ მან სამხედრო მოქმედებები არ უნდა გადადოს იმ მომენტისთვის, როდესაც უკვე ძალიან გვიანი იქნება, — აღნიშნავს გამოცემა.

ბრიტანული სამთავრობო წყაროები აღნიშნავენ, რომ აშშ-ს პრეზიდენტ ბარაქ ობამას, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყება არ სურდა. კენჭისყრა მომავალი წლის ნოემბერში შედგება.

თუმცა ობამა შეიძლება იძულებული გახდეს, შეცვალოს საკუთარი აზრი და სამხედრო დარტყმის მიყენება გადაწყვიტოს. — წერს „გარდიანი".

— აქამდე ვთვლიდით, რომ შეიძლებოდა AაშშAშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებს დავლოდებოდით, მაგრამ დღეს ამაში დარწმუნებულნი არ ვართ. პრეზიდენტმა ობამამ უახლოეს თვეებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. რადგან მას არ სურს, რომ მოქმედებები უშალოდ არჩევნების წინ განხორციელდეს, — წერს „გარდიანი".

მომავალი გაზაფხული ის პერიოდი იქნება, როდესაც საკვანძო გადაწყვეტილებები იქნება მიღებული, — თვლის ბრიტანული გამოცემა.

თავის მხრივ ისრაელი ირანზე შეტევის მხარდაჭერას აპირებს.

ისრაელის პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ და თავდაცვის მინისტრი ეჰუდ ბარაქი მთავრობის წევრთა უმრავლესობის დარწმუნებას ცდილობენ, რომ მხარი დაუჭირონ ირანულ ბირთვულ ობიექტებზე შეტევას. გაზეთ „ჰარეცის" მონაცემებით, ნეთანიაჰუმ და ბარაქმა უკვე მიიღეს საგარეო მინისტრ ავიგდორ ლიბერმანის მხარდაჭერა, რომელიც მანამდე ირანზე თავდასხმის წინააღმდეგ გამოდიოდა.

თუმცა, ისრელის ხელმძღვანელობაში ირანის პრობლების სამხედრო გადაწვეტის მოწინააღმდეგეები უმრავლესობაში არიან.

— სამხედრო ოპერაცია — ეს უკიდურესი ვარიანტია, — აცხადებს მთავრობაში სტრატეგიულ საკითხებზე პასუხისმგებელი ვიცე-პრემიერი მოშე იალოვნი.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა „ნიუსრუ ისრაელს" განუცხადა, რომ არ აპირებს „ირანული თემის გარშემო უპასუხისმგებლო ლაყაფის კომენტირებას, რომელიც რეალური ზიანის მომტანია".

— ამ თემაზე პრესაში გამოქვეყნებული სტატიების 99%-ს სინამდვილესთან არანაირი საერთო არ აქვს, — აცხადებს ლიბერმანი.

ამასობაში, „ჰაარეცი" ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის სამხედრო ასპექტებზე წერს. გაზეთის ანალიტიკოსების აზრით, უახლოს თვეებში სამხედრო-საჰაერო ძალების შეტევა, ძლიერი ღრუბლიანობის გამო გაძნელებული იქნება. თუმცა, გაზეთის მონაცემებით, ისრაელს ჯერ დრო აქვს, რადგან კომპიუტერულმა შეტევებმა ირანული ბირთვული პროგრამები მნიშვნელოვნად შეაფერხა. *(ნიუსრუ)*

# არაბულ სამყაროში ისლამისტებს ელიან

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ხელი შეუშალონ.

რა თქმა უნდა, არსებობს საფრთხე, რომ არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში შეიძლება „ძმები მუსულმანები" მოვიდნენ.

საქმე ის კი არ არის, რომ ისინი ყველაზე პოპულარულნი არიან, არამედ ისიც, რომ როგორც მოძრაობა, უფრო ორგანიზებულნი და დისციპლინირებულნი არიან.

მათ ამომრჩევლებთან მუშაობა შეუძლიათ და ბევრ სოციალურ დაწესებულებას ინახავენ. უფასო სკოლები, საავადმყოფოები და ზოგჯერ პროდუქტებით დახმარებაც — ძლიან მნიშვნელოვანია ღარიბი სახელმწიფოსთვის.

ამიტომ, არავის გაუკვირდება, თუ ხალხი მათ ხმას მისცემს.

უფრო სარწმუნოა, რომ ეგვიპტეში, ისევე როგორც ტუნიში რამდენიმე პარტიისგან შემდგარი კოალიციური მთავრობა შეიქმნება.

რაც შეეხება ლიბიის მომავალს;

თუ ტუნისთან დაკავშრებით არაბული ქვეყნების ლიდერთა უმეტესობა კმაყოფილებას გამოხატავს, ლიბიის მომავალთან დაკავშირებით ასეთი განწყობა არ შეინიშნება. ზოგიერთი ლიბიელი ტომი უკმაყოფილოა იმით, თუ რა დღეში ჩააგდეს კადაფის ცხედარი. ბევრნი თვლიან, რომ პოლკოვნიკ კადაფის ჩამომგდები ჭრელი პოლიტიკური და რელიგიური ძალები ხელისუფლებისთვის უმწვავეს ბრძოლას დაიწყებენ.




მათ რიცხვში არცთუ ცოტა რადიკალური ისლამისტური ჯგუფები და მოძრაობები შედიან. იმდენად რადიკალურები, რომ მათ ასეთებად არა მარტო დასავლეთში, არამედ ახლო აღმოსავლეთშიც თვლიან.

მაგალითად, აბდ-ელ-ჰაკიმ ბელჰაჯმა, რომელიც ლიბიის გარდამავალ მთავრობაში არაფორმალურად თავდაცვის მინისტრის პოსტს იკავებს, თავისი ახალგაზრდობა ავღანეთში გაატარა. იქ მოჯაჰედების რიგებში საბჭოთა კავშირის წინააღმედ იბრძოდა.

შედეგად, პრაქტიკულად გარდაუვალია კონფლიქტი ისლამური მმართველობის ფორმის მოხრეებსა და იმ ლიბიელებს, შორის, რომლებმაც განათლება დასავლეთში მიიღეს და სამშობლოში დაბრუნდნენ. ბოლო მათგანს მიეკუთვნება ბაჰმიდ ჯებრილიც, რომელიც ქვეყნის გარდამავალ მთავრობას ხელმძღვანელობს.

ექსპერტები ამბობენ, რომ მათ შორის კოალიციის ჩამოყალიბება ძალზე გართულდება. მაგრამ კონფლიქტია არა მარტო პოლიტიკოსებს, არამედ ლიბიურ ტომებს შორისაც. ისინი ვერ პატიობენ კადაფის ცხედართან მოპყრობას. ამიტომ ლიბიაში ნაციონალური შერიგების და ფინანსური დახმარების გარეშე არაფერი გამოვა. *(ბი-ბი-სი)*

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

შპს „თერგი 1"-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის ნინო კვარაცხელიას ბებიის

**ტატიანა წურწუმიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „თერგი 1"-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის დავით ანდრონიკაშვილის ბებიის

**ეკატერინე ჯოხაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

### პარასკევი 4 ნოემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** თოქ-შოუ "არენა" **13.50** დოკ. ფილმი "საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი" **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** ავტოპილოტი **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** სერ. **"მისამართი უცნობია"** **21.00** სერ. **"საბედისწერო აკვიატება"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** კავკასუს ლაივი **01.00** მხ.ფ. **"გამანადგურებელი ანგელოზი"** (სუბტ.) **02.45** მოამბე **03.05** სერ. **"ზიანი"** (12) **04.05** მხ. ფილმი **"ქარს დადევნებული"** (15)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"პოსეიდონის თავგადასავალი"** **01.00** მხ. ფილმი **"მექსიკელი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ ბესტი **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ბიზნეს-ლიდერი (გან.) **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** 1-ლი ს. **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** თოქ-შოუ **00.20** ღამის შოუ (გან.) **01.20** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფ. **"სიცილიური კლანი"** (ა. დელონი) (სუბტ.) **04.10** მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დინოტოპია"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"შტრაუსების დინასტია"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"ამანდა ო"** **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერ. **"ადვოკატი"** **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **11.00** დოკ. ფილმი "შემოდგომა" **11.35** აქტუალური თემა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"არასერიოზული კაცი"** **13.35** კონცერტი — მ. დოიჯაშვილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ჩრდილი გზაზე"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ჩვენი ეზო"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.35** დოკ. ფილმი "ლადო ასათიანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმის გაგრძელება **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

